ბრძოლის ხმა

1929 წ. დეკემბერი
პარიზი

№ 2

1929 — DÈCEMBRE
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. საზღვარგარეთელ ბიუროსი ⁝⁝ «L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლო წარსულიდან

ამ ნომერში იბეჭდება ბ. ბესედოვსკის ნაამბობი. ამაში ახალია მხოლოდ ის, რომ ავტორი სავსებით ამტკიცებს იმას, რაც ჩვენ წინეთ კანტი-კუნტათ გაგვიგონია და ვფიქრობდით. აქ განმეორდა საქართველოს ისტორიის ერთი ცნობილი ეპიზოდი—უკმაყოფილო თავადებს შემოყავდათ უცხო ჯარი და მისი საშუალებით ძალა-უფლებას იპყრობდენ, სანამ ხალხი არ აჯანყდებოდა და ამ არამკითხე მოძალადეთ ქვეყნიდან არ გარეკდენ. ინიციატივა რუსის ჯარის შემოსევის ეკუთვნის უეჭველია ქართველ ბოლშევიკებს, სტალინის ხელმძღვანელობით და ორჯონიკიძის ასრულებით. ეს ორი იუდა ისკარიოტელი გახდენ მეთაურნი წვრილფეხა იუდების, სრულიად უმწეოთ და უილაჯოთ ქართველი ხალხისაგან გარიყულების. ამ ვაჟბატონების უმეტესობა დღეს თვითონ არიან განდევნილნი მათ მიერ მოყვანილი ურდოების მიერ, მახვილის ამღებნი მახვილითვე დაეცენ; დამსახურებული ფიზიკური სასჯელი მოულოდნელი სისწრაფით მიიღეს, ხოლო სასჯელი მორალური, ისტორიის შავი ფურცელი მათ ყველამ ერთათ დიდი ხანია დაიმსახურეს და ეს განაჩენი დარჩება სამარადისოთ.

მაგრამ ერთი ვიკითხოთ, როგორ შესძლეს ამ არამზადებმა მთელი ერთი ქვეყნის დაპყრობა, თავისუფალი ხალხისათვის ყელში დანის გაყრა? აქ კი ბესედოვსკი ვერ არის მიუდგომელი მოწამე. სტალინ-ორჯონიკიძეს ვინ მისცემდა რუსეთის ჯარებს, მოსკოვის მთავრობის მეთაურნი მართლა წინააღმდეგნი ყოფილიყვენ ქართველ ყაჩაღების. უეჭველია ლენინი ყოყმანობდა, მაგრამ ზომა კი არაფერი არ მიიღო; დაპყრობის წინააღმდეგი იყო, მაგრამ დაპყრობილი ქვეყანა კი კარგათ მიირთვა, ის სტალინს ექადნოდა, მაგრამ თავისი ჯარები კი მის განკარგულებაში დააყენა, პილატესავით ხელი დაიბანა, მაგრამ ჯალათები კი აუშვა. ახლა ირკვევა ისიც, რომ მოსკოვის სამარცხვინო ცდა—დაპყრობა მიაფუჩეჩონ ლენინის ინიციატივა ყოფილა; მას იმდენი გამბედაობაც არ გამოაჩნდა, რომ მისი ხელქვეითების საქმეს ნამდვილი სახელი უწოდეს და მათი ქვენაზრახვები ზენაზრახვებათ არ გაასაღოს. კიდევ მეტი, ლენინმა შეეცადა ჩვენი მოტყუება, კოალიციური მთავრობით დაპყრობის გადაფუჩეჩება რის მისიით მან გამოგზავნა მოსკოვიდან ენუქიძე. აქ კი კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, მოხდა პირიქით, ჩვენ შევიქციეთ ისინი ქუთაისში, მათი ჯარი გაჩერდა ბათომის ახლოს და ჩვენ დაგვრჩა საკმარისი დრო უკანასკნელი თადარიგების გასაცემათ *).

ბ. ბესედოვსკის ნაამბობიდან ერთი უეჭველია—საქართველოს საკითხის გამო პოლიტბიუროში არ ყოფილა ერთსულოვანება; ეს აიხსნება უმთავრესათ ბოლშევიკების არშიყობით ვენის ინტერნაციონალთან, არ სურდათ ქართულ სოციალისტურ მთავრობასთან ომით თავისი შეურიგებელი იმპერიალიზმი გამოეჩინათ და მით საბოლოოთ ჩაეტეხათ ხიდი ვენელებთან. ამ გარემოებით ჩვენ ომის დროს საკმაოთ ვისარგებლეთ პოლიტიკურათ, ქვეყანას გავაგებიეთ თავს დასხმა, ევროპაში ატყდა განგაში, პარიჟის მუნიციპალიტეტში საკითხი დაისვა, ვენის ინტერნაციონალის ყრილობაზე ის გახდა დისკუსიის საგნათ—ერთი სიტყვით მოსკოვს დავანახეთ რომ ჩვენი ჩუმათ გადაყლაპვა შეუძლებელია. მაგრამ მათი რყევა ვერ ვისარგებლეთ სამხედრო თვალსაზრისით. ჩვენმა პოლიტიკურ კამპანიამ გამოიღო შესაფერი ნაყოფი; როგორც შემდეგ გამოირკვა მოსკოვმა უბრძანა საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებულ ჯარებს ყველა ფრონტისაგან უკან დახევა. მტერმა მტრის ამბავი არ იცისო, ნათქვამია. და სწორეთ იმ საღამოს როცა ისინი უკან უნდა წასულიყვენ, ჩვენ დავტოვეთ თფილისი! რისთვის, რა მოსაზრებით—არავინ იცის, ეს ახსნილი დღემდე არ არის. როგორ მოხდა გამარჯვებული ჯარების მიერ უკან დახევა—ეს საკითხი ჩვენ ჯერ კიდევ «ბრძოლაში» დავსვით ამ ორი წლის წინეთ, მაგრამ პასუხი დღემდე ვერ მივიღეთ, თუ პასუხათ არ ჩავთვლით დიუგეს წიგნში მოთავსებულ პანიკურ ცნობას, ვითომ თფილისი 24 თებერვალს უკვე მტრის ჯარებით იყო შემორტყმულიო!

საქართველოს შესახებ მოსკოვში შემდეგშიაც იქნება რყევა, ბოლშევიზმის დაცემა ფიანდაზათ არ გადაგვეშლება, საჭირო იქნება ბრძოლა, მაგრამ წასული მწარე გამოცდილების შემდეგ იმედი უნდა ვიქონიოთ მომავალში მაინც სამხედრო პანიკიორობა არ განმეორდება და პოლიტიკურ ბრძოლას ზედ დაერთვის მისი შესაფერი თავდაცვითი ძლიერება.

◆

საყურადღებო პარალელი

ბრძოლა ინგლისის იმპერიალიზმთან სტალინისა და მის შინაყმათა მთავარი საზრუნავი საქმეა. ამიტომ სწორეთ დროს შესაფერისი იქნება ერთი მეორეს შევადაროთ ჩაგრულ ერთა მდგომარეობა საბჭოთა კავშირსა და ბრიტანეთის იმპერიაში.

რას ვხედავთ საბჭოთა კავშირში?

თვით ბოლშევიკები თავიანთ სამეფოს დამოუკიდებელ სოციალისტურ რესპუბლიკათა თავისუფალ შეთანხმებათ ნათლავენ. მაგრამ ეს ხომ აშკარა თვალთმაქცობაა, გულუბრყვილოთა თვალის ასახვევი ფანდია. დანამდვილებით მთელი ძალაუფლება მოსკოვის ხელშია, პოლიტბიუროსა და მის მეთაურთა დიქტატურა სულს უხუთავს ყველა ერს. და რაც დრო გადის, მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდება. ამ უკანასკნელ ხანს «დამოუკიდებელ» რესპუბლიკებს ხელიდან გამოაცალეს ადგილობრივ მიწა-წყლის მოვლაც კი. მიწათმოქმედების სამინისტროები გააუქმეს და ის სავსებით ცენტრს დაუმორჩილეს. ბესედოვსკი, ყოფილი საბჭოთა ცნობილი დიპლომატი, რასაკვირველია საქმეში ჩინებულათ ჩახედული, გადაჭრით აცხადებს, რომ ახლო მომავალში ერებს სხვა უფლებანი აღარ შერჩება, გარდა საკუთარ ენაზე სიკვდილის დასჯის განაჩენის გამოტანისო. ასეთია საბჭოთა სამოთხე.

ახლა ვიკითხოთ: რა ხდება ბრიტანეთის იმპერიაში? განსხვავდება თუ არა რითიმე ჩაგრულ ერთა მდგომარეობა საბჭოთა კავშირთან შედარებით?

1926 წლის საიმპერიო კონფერენციამ დომინიონები უფლებრივათ მეტროპოლიას—ინგლისს გაუთანასწორა. ბალდვინის კონსერვატიულმა მთავრობამ თანხმობა განაცხადა, ინგლისისა და დომინიონების ურთიერთობა ახალ საფუძველზე მოეწყოს. ამიერიდან დომინიონები საშინაო და საგარეო პოლიტიკაში დამოუკიდებელ სახელმწიფოებათ ითვლება. დომინიონს უფლება აქვს გარეშე სახელმწიფოებთან დასდოს ხელშეკრულობა, მათ წინაშე თავისი ელჩები წარგზავნოს იმ პირობით, რომ თავისი ნაბიჯი გააცნოს ლონდონს და სხვა დომინიონებს. დომინიონი ხალხთა ლიგის მონაწილეა და თვით ხალხთა ლიგის საბჭოში მას შეუძლია ისხდეს ინგლისის გვერდით და აწარმოვოს საკუთარი საგარეო პოლიტიკა. თვით ომის გამოცხადება და მასში მონაწილეობა დომინიონის საკუთარი გადაწყვეტილებით ხდება: თუ მოისურვებს, ინგლისს გვერდში ამოუდგება, არა და ნეიტრალიტეტს დაიცავს. ბრიტანეთის იმპერიასთან დომინიონს აკავშირებს მხოლოდ ინგლისის მეფე, რომელიც იმავე დროს დომინიონის მეფეცაა. როგორც ხედავთ, ბრიტანეთის იმპერია თავისუფალ ხალხთა ლიგაა.

ასეთი იყო მდგომარეობა, როცა ინგლისის სათავეში მაკდონალდის მთავრობა მოექცა.

ის თავიდანვე შეუდგა იმ პოლიტიკის გატარებას დამორჩილებულ ერთა მიმართ, რასაც მუშათა პარტია მთელ სოციალისტურ ინტერნაციონალთან ერთათ იცავდა. მაკდონალდი შეუთანხმდა ეგვიპტის პრემიერს ინგლის-ეგვიპტის ურთიერთობის მოსაგვარებლათ. ხელშეკრულობის ძალით ეგვიპტეს ენიჭება სუვერენობა, ხოლო ინგლისის პროტექტორატი ისპობა. მართალია მათი ურთიერთობა სავსებით მოგვარებული ჯერ კიდევ არ არის, საკონფლიქტო საგანი ჯერ კიდევ არსებობს, მაგრამ აქ მთავარია საერთო ტენდენცია, ერთა თვითგამორკვევის უფლების თანდათანი გაფართოება. დღიდან ხალხთა ლიგის დაარსებისა ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულობა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი აქტია ხალხთა შორის ახალ ურთიერთობის დამყარების საქმეში, თავისუფალი შეთანხმება თანასწორ უფლებიან ერების—ასეთია ის ახალი პრინციპი, რაც სარჩულათ დაედვა ამ დიად აქტს.

ინდოეთს ლოიდ-ჯორჯის მთავრობამ ჯერ კიდევ 1920 წ. აღუთქვა პარლამენტალურ წყობილების შემოღება არა უგვიანეს ათი წლის ვადისა. მაგრამ ეს იყო დაპირება, მოკლებული გარკვეულ ხასიათს. კონსერვატიული მთავრობა ამ საქმეში განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა. ეს ადვილი გასაგებია, ვინაიდან ინდოეთი თავისი 300 მილიონი მცხოვრებით და მართლაც საზღაპრო სიმდიდრით ინგლისის იმპერიალიზმის მთავარი და თან უკანასკნელი ბურჯია. ასეთსავე სიფრთხილეს იჩენდა საიმონის საპარლამენტო კომისია, რომელიც გაგზავნილ იქმნა ინდოეთში ადგილობრივ პირობათა გამოსარკვევათ. ასეთი იყო კონსერვატიული მთავრობის მემკვიდრეობა.

მაკდონალდი ოდნავაც არ შეუშინდა ინგლისის გავლენიან სავაჭრო-სამრეწველო და საფინანსო წრეების უკმაყოფილებას და გადაწყვიტა ინდოეთის სამართლიან მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. მთავრობის ნებართვით მეფის მოადგილემ ლორდმა ირვინგმა ინდოეთს დომინიონის სტატუტი აღუთქვა და ისიც მომავალ წლისათვის. მართალია ინგლისის პარლამენტს ჯერ თავისი სიტყვა არ უთქვამს, მაგრამ ეჭვს გარეშეა ამიერიდან ინდოეთის უფლებებს ფეხქვეშ ვერავინ გათელავს.

მაკდონალდის ეს ნაბიჯი მით უფრო საყურადღებოა, რომ ინდოეთში შედარებით ადვილია ნაცად იმპერიალისტურ პოლიტიკის გატარება, რასაც ახასიათებს პრინციპი: გათიშე, რომ იბატონო. აქ ხომ მრავალი ერია, რომელიც ლაპარაკობს სხვადასხვა ენას, დგას კულტურის სხვადასხვა საფეხურზე და ერთი მეორეს საშინლათ მტრობს. დაურთეთ ამას არსებობა ჩამოყალიბებულ სოციალურ კასტების და საუკუნეთა განმავლობაში განმტკიცებული შეჯახება რელიგიურ ნიადაგზე მუსულმანთა (დამპყრობელთა) და ბრამანელთა (ადგილობრივ მკვიდრთა) შორის და თქვენთვის ადვილი გასაგები იქნება, რომ ასეთ პირობებში იმპერიალისტურ პოლიტიკას ჯერ კიდევ საკმაო გასაქანი აქვს. აკი საბჭოთა კავშირი სწორეთ ამ პოლიტიკით სულდგმულობს და სხვა და სხვა ერთა გათიშვით და ერთი მეორეზე დაპირისპირებით მათ ყველას იმონებს რუსეთის იმპერიალიზმის საკეთილდღეოთ. მოიგონეთ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა საქართველოს სუვერენულ უფლებათა ფეხქვეშ გათელვით და მისი ტერიტორიის აქეთ-იქით გაჩუქებით. ეს ხომ საბჭოთა კავშირის მესვეურთა ნიშნობლივი თვისებაა.

ასეთია ჩაგრულ ერთა მდგომარეობა ორ უდიდეს სახელმწიფოში.

ორი ქვეყანა. ორი პოლიტიკა, ორი საწინააღმდეგო პრინციპი. მათ შორის საერთო არაფერია.

◆

ბოლშევიკების კულისებში

ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა ტროცკის წიგნი «რევოლიუცია დამახინჯებული». აქ თავმოყრილია ავტორის სიტყვები და ცნობები მის მოღვაწეობაზე, მის ბრძოლაზე სტალინთან და მის გამორიცხვაზე პარტიიდან. ეს მთელი ისტორიაა ფრაქციული და ჯგუფური აყალმაყალის, ერთი მეორეზე წასისიანების, საძაგელი მანიოვრების, ამხანაგთა დამცირების, ტლაპოში ამოსვრის, პირადი თავმოყვარეობის გაბერვის, ინტრიგათა ქსოვილების—ერთი სიტყვით ნამდვილი წუმპე, რაშიაც ისინი ასე არხეინათ ყვინთაობენ. ეს ბოლშევიკური «სკლოკა» ჩვენ არ გვაინტერესებს, ეს ტალახი ზილონ მათ. ერთიმეორე შავ დაფაზე გააკრან, ლენინის «გვარდია» დაასამარონ, რაც მეტი გამომჟღავნდება მათ მიერვე, მით ჩქარა გათავდება ბოლშევიკური პარპაშობა. აქ ჩვენ გვსურს შევეხოთ მხოლოდ ერთ მხარეს—იდეიურ არევდარევას, რამაც საბოლოოთ გამოიწვია ფრაქციული არევ-დარევა მათ შორის.

როგორც იცით, სოციალდემოკრატიის ორივე ფრთა ომამდე და რევოლიუციამდე იდგა დემოკრატიული სოციალიზმის და დემოკრატიული რევოლიუციის საფუძველზე. აქედან იყო ერთი გამონაკლისი—ტროცკი. მისი აზრით, რუსეთის რევოლიუცია ვერ შეჩერდება დემოკრატიულ ფარგალში, ის გადაიქცევა სოციალურ რევოლიუციათ და მთელი რიგი რევოლიუციისა ერთი მეორეზე წაბმული მიგვიყვანს სოციალიზმამდე. აქედან იდეია პერმენანტული რევოლიუციისა. აი ტროცკიზმი. ლენინი სტოვებს სოც.-დემ. პოზიციას და ითვისებს ტროცკიზმს, ხოლო მისი ამალა აღზრდილი სოც.-დემოკრატიულ რევოლიუციურ სკოლაში ასე უცებ ვერ მიყვება ლენინს და აქედან იბადება მათ შორის დაუცხრომელი დავა. ტროცკი ფარდას ხდის ამ დავას თავის წიგნში, მაგრამ არ შესწევს იმდენი გაბედულობა, რომ ბოლშევიზმის გამოგონება თავის თავს მიაწეროს. ის ეფარება ლენინს, რომლისაგან მოდის სინათლე, რომლის ლეიტენანტი თვითონ იყო. ხოლო ყველა სხვა—მისი მოწინააღმდეგე. ეს ცდა—თავისი ლენინობა დაამტკიცოს და არა ლენინის ტროცკისტობა სტრატეგიული მანიოვრია, უეჭველია, რომ ამ გზით ლენინზე მოფიცარი მოწინააღმდეგენი დაამარცხოს. ლენინი მის ხელში უბრალო კეტია, რომლითაც ის წალმა-უკუღმა ღვრიალობს. მთელ ამ «მენშევიკურ რყევას» ლენინის ამალისა სასტიკათ მალავენ სტალინელები, ტროცკი ახლა მას ამჟღავნებს.

ჯერ კიდევ აპრილში (1917 წ.) პეტროგრადის ბოლშევ. კომიტეტში დაწყებულა განხეთქილება. სტალინი იცავდა დროებითი მთავრობის დაცვის საჭიროებას, წერეთელთან გაერთიანებას. ლენინი მას ებრძვის, ეს სოციალიზმის ღალატიაო (გვ. 42-43). ოქტომბრის რევოლიუციის მეორე დღესვე ირჩევა საკითხი სოციალისტურ პარტიებთან დამოკიდებულებაზე, ლენინი ითხოვდა ერთფეროვან ბოლშევიკურ მთავრობას და სოციალისტებთან დამოკიდებულების გაწყვეტას. უმრავლესობა არ ყოფილა ამ აზრის, რასკოლი მზადდებოდა. მაშინ ლენინი დამუქრებია: «რასკოლი თუ მოხდება, მით უარესი. თქვენ თუ გყავთ უმრავლესობა ჩაიბარეთ მთავრობა აღმასრულებელ კომიტეტში, ჩვენ მივმართავთ მატროსებს». უმრავლესობა მოტყდა. ყველა ამ შეხეთქებაში ლენინის მარჯვენა ხელი ყოფილა ტროცკი, რითაც ის დიდათ ყოყოჩობს. ის დოკუმენტალურათ ამტკიცებს მის და ლენინის ერთსულოვანებას ყველა ძირითად საკითხებში და მაშასადამე სტალინელთა ცდა მათ შორის წინააღმდეგობის აღმოჩენის—ისტორიის გაყალბებაა.

გამოდის რომ ლენინს და ტროცკის ჩაუჭერიათ მათი მერყევი ამხანაგები და ძალით, ყურით ხელში გადაუთრევიათ ისინი ლენინიზმათ მონათლულ ტროცკიზმში. მაგრამ ყველა დიდ საკითხში (ვაჭრობის მონოპოლია და სხ.) ჩნდებოდა მათი რყევა, ფეხის თრევა და მხოლოდ ლენინ-ტროცკის იერიშებით ამ ჯოგის მოთოკვა. თუ პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებში ლენინი და ტროცკი უკიდურეს ფრთას შეადგენდენ. ნაციონალურ საკითხში თვითონ გადაქანებულან მენშევიზმისაკენ, ხოლო სტალინი და მისი მომხრენი ბოლშევიზმს ჩაფრენიან. აქ საინტერესოა ბრძოლა ლენინ-სტალინს შორის. საბჭოთა ტერიტორიის დაყოფა რესპუბლიკებათ და მათ შორის რუსეთის რესპუბლიკის მოთავსება სტალინისათვის ყოფილა «მიუღებელი». ის თურმე ითხოვდა რუსეთის მთავრობა ყოფილიყო იმავე დროს ცენტრალური მთავრობა ყველა დანარჩენი რესპუბლიკების. ლენინს მაინც თავისი გაუტანია. ტროცკი სწერს: ლენინი «განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდა ქართულ საკითხს, არა მარტო იმისთვის, რომ უფრთხოდა ყალბ ნაციონალური პოლიტიკის გატარებას საქართველოში, ეს მისი შიში სავსებით გამართლდა, არამედ იმისთვისაც რომ ამ საკითხით მან ნათლათ დაინახა სტალინის პოლიტიკის სიყალბე ნაციონალურ სფეროში» (გვ. 91) ამ დავაში კი სტალინი იმარჯვებს, როგორც იცით, განსაკუთრებით ლენინის ავათმყოფობის გამო.

ლენინის სიკვდილის შემდეგ ხომ იწყება მონასტრის არევა. იწყება იდეიური დაბნეულობა და პირადი კინკლაობა. სტალინი ტროცკის გვერდით რა გამოჩნდებოდა და იწყება კამპანია ტროცკის გასაძევებლათ. ამ საძაგელ ინტრიგას მოყვა იდეიური განხეთქილებაც. სტალინელებმა ხელახლა მოიგონეს მენშევიკური ტაქტიკა და ის გადაიტანეს ჩინეთში, ინგლისში და სხვაგან. ისინი სტოვებენ ჩინელ კომუნისტურ პარტიას დიდ დემოკრატიულ ბლოკში კუმიტანგში, ქმნიან ანგლო-რუსულ კომიტეტს პერსელის მეთაურობით და სხვ. ამ ორგანიზაციებში კომუნისტურ ფრთას დავალებული ქონდა გავლენის მოხდენა დემოკრატიაზე და მით რევოლიუციის წინ წაწევა. მაგრამ ამ ტაქტიკის სიდუხჭირე მდგომარეობდა იმაში, რომ ამ მენშევიკური ტაქტიკის მიზნათ კომუნისტურ რევოლიუციას სახავდენ! მიზანი და საშუალება სრულიად ერთმანეთს არ უდგება. ეს მენშევიკური ტაქტიკა გამომუშავებული იყო დემოკრატიული რევოლიუციის გასატარებლათ, სოციალისტური რევოლიუცია კი სრულიად სხვა გზას მოითხოვს. აი ამ ორლობეში დაბნეულ სტალინელთ მაგრათ ურტყამს ტროცკი. ის ითხოვს ბოლშევიკურ მიზანს თან ახლდეს ბოლშევიკური ტაქტიკა, ე. ი. ბლოკიდან გამოსვლა, ცალკე პარტიის ამუშავება, აჯანყებას, ძალაუფლების ხელში ჩაგდებას—ერთი სიტყვით რუსეთის ოქტომბერის განმეორებას ჩინეთში. თუ სტალინის ხალხს სრული პოლიტიკური ველურობა ახასიათებს, ტროცკი რჩება პირწავარდნილი უტოპისტი, რჩება იმათ რაც იყო 1905-ში, პერმენანტული რევოლიუციის მოციქულათ და სოციალურ მაქსიმალისტათ. ამ მხრით სრულიად მართალია მარტინოვი, რომელიც ტროცკის მოწმობით, ბოროტი სულია კომინტერნის და მას აჩრის მენშევიკურ მწვალებლობას. მარტინოვი გადაბარგდა ბოლშევიკებისაკენ და არეული თავი კიდევ უფრო აერია. მენშევიზმი მთლათ ვერ დაივიწყა, ბოლშევიზმი მთლათ ვერ შეითვისა. ამ ორი მოპირდაპირის შედუღება შეუძლებელია და აქ ტროცკი მართალია, ან ერთი, ან მეორე, ან ფართე ფანტაზია და დიდი ავანტიურა, ან მეცნიერული მიუდგომლობა და რეალური პოლიტიკა.

ტროცკის წიგნი გვარიანი დრამატიული იქნებოდა, რომ შიგ მოთხრობილი ამბები მომხდარიყო მასის წინაშე, საჯარო ტრიბუნაზე. მაგრამ ახდენს ფარსის შთაბეჭდილებას ვინაიდან ის ხდებოდა ვიწრო წრეში, პარტიის კამარილიაში, პარტიული მასის ზურგს უკანაც. თვითონ ტროცკი სტოვებს სავსებით დაკარგული კაცის შთაბეჭდილებას. ის სრულიად ვერ ხედავს ოქტომბრის სრულ გაკოტრებას, ლენინ-ტროცკის სოციალური ავანტიურის დამარცხებას და ანტიოქტომბრული დემოკრატიული რევოლიუციის მოახლოვებას. რითაც ის ყოყოჩობს—წაგებულია, დამარხულია. მისი ცდა ამ მძოვრის ოქტომბრული წამლის შეშხაპუნებით გაცოცხლება—სასაცილოა.

◆

საქართველო და ემიგრაცია

«მოყვარე გასაჭირში იცნობა»—ამბობს ხალხური ანდაზა.—ერის ძლიერება ერთსულოვნობაშიაო—გვასწავლის ერთა განვითარების ისტორია. ეს თუ მართალია, ის ზედ გამოჭრილია საქართველოს დღევანდელ მდგომარეობაზე, მის გაფოლადებულ ბრძოლაზე.

არასოდეს საქართველოს და ქართველ ხალხს ისე არ სჭიროდა ერთსულოვნება, ნებისა და ბრძოლის ჟინის უტეხობა, როგორც დღეს.

საბედნიეროთ დღევანდელი საქართველოც მთლიანი და განუყოფელია; ყველა კლასი და წოდება, ერი და ბერი გასალკლდევებული, ერთი აზრით და ნებით, გამსჭვალულია.

ეს აზრი არის ერის თავისუფლება—1918-ში მოპოვებულის და 21-ში დაკარგულის დაბრუნება.

იქ, ყველა პარტია და ჯგუფი, ჩამოყალიბებულია ის თუ არა, დარაზმულია სოც.-დემოკრატიის გარშემო—ერის თავისუფლების დროშით ხელში. ამ რიგად, სოც.-დემოკრატია ის ღერძია, რომლისაკენ მიილტვიან ყველა მებრძოლთა რაზმები. ეს თუ გნებავთ, ისტორიის გარდაუვალი კარნახია. შეიძლება ზოგიერთებისთავის მწარე და მიუღებელი, მარა მაინც აუცილებელი.

---

*) ბესედოვსკის ცნობა ფ. მახარაძის შესახებ სიმართლეს არ უნდა შეეფერებოდეს, თვარა რით აიხსნებოდა მისი ყოფნა «შულავერის მთავრობაში», ომის დროს მის მიერ ხელმოწერილი ფურცლები და მისი დღევანდლამდე სტალინის ერთგულ შინაყმათ დარჩენა? ბოროტების ეს ერთგული მოსამსახურე. ბოროტების დამწყები არ იქნებოდა? ბ. ბესედოვსკის უეჭველია ამ პიროვნების შესახებ სრული ცნობები არ მოეპოვება.

ასეა იქ, სადაც ხელჩართული ბრძოლაა, სადაც რაზმი რაზმს მისდევს და შორეულ ციმბირის უდაბნოში იფანტება; იქ, სადაც რეალური საქმეა; იქ, სადაც ერის ბედი და მომავალი იჭედება.

ქართველმა ხალხმა კარგად იცის, რომ «მენავესთან ბრძოლა» სულელთა ხეპრული გამოგონებაა. მისი მენავე კი საქართველოს დემოკრატიაა—1918 წ. მისი თავისუფლების მიმრქმნელი. და ამ დემოკრატიასთან ერთად ის, მხოლოდ, ერთ წერტილს ურტყამს. ეს წერტილი საოკუპაციო ხელისუფლებაა, მისი დანგრევა ნიშნავს ერის თავისუფლებას, მისი ხუნდების დაგლეჯას და სასიცოცხლო ძალების აშვებას.

ეს ასეა 1921 წლიდან.

ერთი სიტყვით, გასაჭირში ერი გაერთიანდა. პარტიებათ და კლასებათ დაყოფილი, ერთი მიზნისაკენ მიიმართა და ერთსულოვნება დაიმკვიდრა.

ეს ამბავი ბოლშევიკებსაც არ გამოეპარათ. დაირაზმა მთელი მათი ამალა და იერიში ერის ამ ერთობაზე მიიტანა. ჯერ საქართველოში შეეცადენ ერის მებრძოლ ძალების გათიშვას, მათ შორის ფოლადის პალოს ჩარჭობას. მაგრამ ეს პალო მეტად უძლური აღმოჩნდა—მაზედ დაკრული ურო რეზინის ბურთივით დამრტყმელს შუბლში ხვდებოდა. ხოლო ამ გასაჭირიდან ისინი ს. დევდარიანმა გამოიყვანა. მან მტარვალებს ბრძნული რჩევა მისცა: ქართველ მებრძოლთ თქვენი პალო ვერ გათიშავს, მას მეტად მკვიდრი დუღაბი უდგას—სოც.-დემოკრატია, ბრძოლაში ნაწრთობი; გასწით საზღვარ-გარეთ, იქიდან შემოუარეთ, ემიგრაცია მოსწყვიტეთ, დაშალეთ და «ოქროს ვერძი» თქვენ დაგრჩებათო. ამ დღიდან ითვლის თავის წელთ აღრიცხვას ვეშაპელიადა. ეს პირველი შემოვლითი მანიოვრი იყო ქართველი ერის სიმტკიცეზე.

და მართლაც რას ვხედავთ დღეს? მსგავსად სხვა ერის თანამედროვე ემიგრაციისა უცხოეთის ქართველობაც მოკაზმული და დარაზმულია ცალკე დასებათ თავისი კომიტეტებით და საზოგადო კრებებით. ამ ემიგრაციის ერთი ნაწილი, იმის მაგიერ, რომ საქართველოში მებრძოლთ ხელი შეუწყოს აქ ერთსულოვნების განმტკიცებით, «თოფითა და ჯინჯილით მოკაზმულა» და ამ ერთობის დარღვევას შესდგომია. საერთო მტერი, ერის გასაჭირი უკანა პლანზე გადაუდვია და თავის წვრილმან ემიგრანტულ სამრეკლოს მეზარედ გამოსულა. თავისი ვიწრო, ჯგუფური ალილუია ერის ხსნის ჰიმნათ დაუსახავს. ეს წაჯექ-უკუჯექობა, გუშინ ერთად დგომა, დღეს განზე გადგომა და საქართველოს საქმის დამცველთა წინაალმდეგ აქ ბრძოლის გაჩაღება—დასაწყისია ცუდი ბოლოსი. ეს არის სწორედ ის, რაც მტერს უნდა—ემიგრაციის დაშლით, ერთმანეთზე გადაკიდებით—ქართველი ხალხის ნებისყოფის გატეხა.

ამიტომაც იყო ასეთი სიხარულით მიიღეს ბოლშევიკებმა დევდარიანის რჩევა-დარიგება: რაც მეტად დაიშლება ემიგრაცია, ერთმანეთს დაეტაკება და წყალი აიმღვრევა—მით მტრისათვის მეტი სარფია.—თევზი ადვილად დაიჭირება.

ეს ვერ შესძლეს საქართველოში, მაგრამ ცდილობენ ემიგრაციაში.

რატომ გახდა შესაძლებელი ემიგრაციაში ის, რაც საქართველოში შეუძლებელია?

რა მოხდა?

მოხდა ერთი ამბავი: იქ ნამდვილი საქმეა, აქ კი ამ საქმის დამცველთა წინააღმდეგ ჩხირკედელაობა; იქ ხელჩართული ბრძოლაა, აქ კი დახმარების მაგიერ დამნაშავის ძებნა; იქ თავდადებაა, აქ კი ზოგიერთ გაბუტულთა უთაობა. ყველა ამის მიზეზი ბრძოლის ასპარეზის მოწყვეტაა.

მარა არის მეორე გარემოებაც: საქართველოს მეთაურობა ისტორიამ ქართველ დემოკრატიას და მის პარტიას დააკისრა. ამაში გახლავთ, თუ გნებავთ საქართველოს სიძლიერის, მისი უტეხობის გასაღები. ამიტომაა ყოფილ რუსეთის იმპერიაში ვერც ერთი ერი ვერ იბრძვის ისეთი სიმძაფრით და სიმტკიცით, როგორც საქართველო. მაგრამ ამაშივე იმარხება ზოგიერთი პირების ავათმყოფური თავმოყვარეობის პრეტენზიებიც. ამის მაგალითია ამირეჯიბის ჯგუფის გამოსვლები.

მათი აზრია—სოც.-დემოკრატიის ჩამოცილება ეროვნულ ბრძოლის ასპარეზიდან და ამას პატრიოტულ საქმეთ ასაღებენ! თურმე საკუთარ მებრძოლთა რიგების ბრძოლის ველიდან გამოყვანა მტერზედ გამარჯვება ყოფილა, ხოლო ერთობის და მტკიცე კავშირის მაგიერ დაშლა და დანაწილება—პოლიტიკური ტაქტიკის ქვაკუთხედია! ამას ლაპარაკობს ის ხალხი, რომელსაც პოლიტიკურ ხელმძღვანელობის პრეტენზია აქვს. მარა დღეს ვინ არ იცის, რომ საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობა ვერ იქნება ოდნავ სერიოზული და ჯანიანი, თუ მას სოც.-დემოკრატია ჩამოსცილდა; რომ ის მოკვდება და ჩაიფერფლება, თუ მას დემოკრატიამ ზურგი შეაქცია.

ეს მხოლოდ ამირეჯიბს და კომპანიას ვერ გაუგია და სოც.-დემოკრატიის გარიყვა მოუნდომებია. მარა ეს მეტად ძნელი საქმეა. სოციალდემოკრატიის ადგილის ამირეჯიბების მიერ დაჭერა, საქართველოს სინამდვილეში, ავათმყოფური ოცნებაა. ამაზედ ამბობს ხალხური ლექსი: «პამპულაი შეიკაზმა თოფითა და ჯინჯილითა, უნდა ქალაქსა მივადგე ამოვხოცო შიმშილითა»-ო. «შიმშილით ამოხოცვის» რა მოგახსენოთ და ასეთი პამპულაობით უნდა თუ არა ამირეჯიბს ერთი მაინც კეთდება:

რაც მტერმა ვერ შესძლო საქართველოში,—აქ უმისოდ ხდება. ეს მეტად დამაფიქრებელი მოვლენაა.

დღეს ქართველ ხალხს ერთი მტერი ყავს. ესაა—საოკუპაციო ხელისუფლება. მას უპირდაპირდება მთელი ერი. ამ რიგად ორი ბანაკი გამოკვეთილია, მებრძოლნი-განაწილებული. სხვა ფრონტი, სხვა ბანაკი დღეს არ არსებობს. არჩევანი განსაზღვრულია: ან აქეთ ან იქით.—მესამე არ არის, და თუ არის, ის მხოლოდ ვეშაპელის გზაა, რომლის პირდაპირი მისამართი მტრის ბანაკია.

ვინც თიშავს და არღვევს, თუგინდ, ემიგრაციას და ამით ცდილობს საქართველოშიაც მებრძოლთა შორის შუღლი და უნდობლობა გააღვივოს, ის ობიექტიურად, უნდა თუ არა მტრის საქმეს აკეთებს. დროა ამას ჩაუკვირდეს ყველა პოლიტიკური ემიგრანტი, განსაკუთრებით აჯანყების მონაწილენი, და სათანადო დასკვნა გააკეთოს.

კომანდო.

◆

გაკვრით

გაზეთ «სამშობლო»-ში და მის ირგლივ მოკალათებული ჯგუფი დიდ ფაცა-ფუცშია, ისხამენ თოფიარაღს, ახდენენ მობილიზაციას და საომრათ ირაზმებიან. ასე წარმოიდგინეთ იოსებ ხანანაშვილიც კი გამოვიდა მოედანზე და დიდის რიხით გვაუწყებს: «ჩვენი ბრძოლის უმთავრესი საფუძვლები»-ო.

ვის წინააღმდეგ ირაზმება ეს უებარი ლაშქარი? ბოლშევიკების? თქვენგან არ მიკვირს! ისინი ებრძვიან არა მომხდურს, არა მოძალადეს, არამედ დამხთურს, ჩვენი ქვეყნის დამცველს და ჭირისუფალს—სოციალ-დემოკრატიას.

მარა, საკვირველი ისაა რომ ებრძვიან პარტიას, რომელიც მათი მტკიცებით და მოწმობით «დამარცხებული, დაშლილი და განადგურებულია».

არ გჯერათ? მაშ მოუსმინეთ:

«მენშევიკური პარტიის ნაცარ-მტვრად ქცევა პირველი გამოძახილი იყო ქართველი ხალხის მართმსაჯულებისა»—სწერს «უმთავრესი საფუძვლის» მაძიებელი ბ. ხანანაშვილი.

გვაქცია რა ნაცარ-მტვრად ბ. ხანანაშვილმა ეს ნაცარ-მტვერიც სადღაც ისეთ ადგილას გადაყარა რომ «მომავალ მემატიანეს დიდძალი მტვრის ჩაყლაპვა მოუხდება, სანამ ქართული ეროვნული ბრძოლის არქივებში მენშევიკურ ნაშთებს აღმოაჩენდეს»-ო—ირწმუნება ის.

მერე და რით დავიმსახურეთ ამ «უმთავრესი საფუძვლის» მაძიებელი ხანანაშვილის ასეთი საშინელი რისხვა?

ამის მიზეზს ჩვენი ავტორი იქვე გვატყობინებს: «თუ მართალია ცნობები, თითქოს ამერიკელები იღებენ თავის თავზე ნავთსადენ მილის გაყვანის საქმეს ბაქოდგან და გროზნოდგან ბალტიის ზღვამდე, ე. ი. პეტერბურგამდე, მაშინ უეჭველი უნდა იყოს ყველასათვის, თუ რა ზომამდე არაფერი გაკეთებულა კავკასიის განთავისუფლებისათვის, იმათ მიერ, ვინც ამ მოძრაობას დღემდის ედგა სათავეში... როგორც ხედავთ, ამაზე შორს ველარ წავიდოდა ჩვენი ხელმძღვანელების გაკოტრების საქმე». (№ 3-4).

ახია ჩვენს ხელმძღვანელებზე! ვითომ და რატომ აძლევენ ამერიკელებს რუსეთში ნავთის მილის გაყვანის ნებას! ეს ისეთ დიდ დანაშაულათ მიაჩნია ბ. ხანანაშვილს რომ ის გადაჭრით მოითხოვს მოხდეს «სრული რეორგანიზაცია და ძირ-ბუდიანი, ღრმა ცვლილება განთავისუფლებისათვის მებრძოლ აპარატში».

ასე ბრძანებს ჩვენი «უმთავრესი საფუძვლების» მაძიებელი ბ. ხანანაშვილი და მეტი რა ჯანია! იყოს ნება მისი!

. ჩვენი ცოდვა ამერიკელებს და მათ ნავთის მილებს...

მარა, ამერიკელებიც რომ არ ყოფილიყო—მაშინაც არ გვადგა თურმე კარგი დღე. ბ. ა. ასათიანი, ღრმა დაკვირვებით, ამტკიცებს ამავე ნომერში, რომ «საქართველოში, სინამდვილეში ორი ძალაა ერთმანეთზე დაპირდაპირებული ყოველგან, ყოველთვის და ყოველ დარგში. არის ერთი მხრივ კომუნისტური პარტია და კომუნისტური ბიუროკრატია და მეორე მხრივ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და მიმართულება».

როგორც ხედავთ ჩვენ სინამდვილეში არსად ვართ. ამიტომაა, რომ რაკი მოქიშპეს ველარ ხედავს, ის ამაყად აცხადებს: «დეე, იცოდეს ყველამ, მტერმა და მოყვარემ, ყველამ გაიგოს რომ ის (ე. ი. ასათიანი და მისი ჯგუფი. ძვ.) სახელმწიფოებრივი ცხოვრების სადავეებს აიღებს ხელში». (№ 3-4).

მადლობა უფალს! როგორც იქნა! უდიდესი დაბრკოლება უკვე გადალახულია, ბ. ბ. ასათიანი და ხანანაშვილი თანახმანი არიან ხელში აიღონ მმართველობის სადავეები. მართალია, ეს სადავეები შორსაა და არც ისე ადვილია მისი მიღება, მაგრამ ჩვენთვის ისიც საკმარისია რომ ბ. ასათიახმა თანხმობა განაცხადა მის მიღებაზე.

ვინ დაარწმუნა ბ. ასათიანი რომ ჩვენ სინამდვილეში აღარ ვარსებობთ?

ამაში ის დაარწმუნა ბ. შალვა ამირეჯიბმა.

ბ. ამირეჯიბი ამ ბოლო დროს აღარ ხუმრობს. ის უკვე ოფიციალური იდეოლოგია «სამშობლოს» ჯგუფის. მართალია საამისო მას არაფერი მოეპოება—არც ცოდნა, არც გამოცდილება, არც უნარი, მარა ის მაინც მთვრალ პეპელასავით დაფრიალებს ერთი საკითხიდან მეორეზე და ცდილობს ყველაფერში ჰკრას ხელი და რაიმე ღრმააზროვანი ფრაზა წამოისროლოს, თუმცა ეს ფრაზები ისე ღრმაა, რომ წიწილაც ვერ დაისველებს ფეხს.

«სამშობლოს» უკანასკნელ ნომერში [illegible] არწმუნებს თავის ჯგუფს, რომ სოც.-[illegible] უკვე დაიშალა და რომ ეს დაშლა 1921 წელს მოხდაო. ის არამც თუ გვარწმუნებს ამაში, აგვიწერს კიდეც თუ როგორ მოხდა ეს დაუჯერებელი ამბავი.

«პარტიის რჩეულმა ნაწილმა ემიგრაციაში ამოყო თავი, პარტიის მოზდილმა ნაწილმა ბოლშევიზმისაკენ გადინაცვლა, პარტიის უმრავლესობა კი ქართველ ერში აითქვა»-ო. (№ 3-4).

ასე უღმერთოდ დაშალა ბ. ამირეჯიბმა საქართველოს სოც. დემოკ. პარტია სენის პირზე და რომ უფრო დაესაჯა იგი შემდეგში აღდგენის ყოველგვარი იმედიც წაართვა.

«ასეთი დაშლილი პარტიის შეერთება, ამ ნაწილების ისევ ერთ პარტიად ქცევა აღარაფერს შეუძლია»-ო გვაჯერებს ის და თან უმატებს რომ ამაში ჩვენი ქვეყნისთვის «საზიანო არაფერია, რადგან ეს ის პარტიაა, რომელიც ქართულ ცხოვრებას სოციალურ და პოლიტიკურ სიყალბით ავსებდა, ერის უმრავლესობას თავის პარტიაში ერეკებოდა და ამ უმრავლესობის ეროვნულ პოლიტიკურ და სოციალურ იდეალებს პარტიიდან კარში ერეკებოდა»-ო.

ერის უმრავლესობას თავის პარტიაში ერეკებოდა და იმავე დროს ამ უმრავლესობის ეროვნულ, პოლიტიკურ და სოციალურ იდეალებს პარტიიდან კარში ერეკებოდაო—ამაზე უფრო ღრმა აზრი ჯერ არავისაგან გვსმენია! დღემდის ყველგან და ყველას ასე ეგონა რომ პარტია არის განსაზღვრული კლასის თუ ჯგუფის ინტერესების გამომხატველი და ამ ინტერესებისათვის მებრძოლი. ახლა მოდის ამირეჯიბი და სურს დაგვაჯეროს—პარტიაში შედიოდა უმრავლესობა, მარა ამ უმრავლესობის ყოველგვარ იდეალებს პარტიიდან კარში ერეკებოდენო.

ღმერთო დიდებულო! მოგვეცი ძალა მივწვდეთ სიბრძნესა ამას ამირეჯიბისასა!

მარა ვინ იყვნენ ის სულელები რომ მიდიოდენ ისეთ პარტიაში, რომელიც ყოველგვარ მათ იდეალებს «კარში ერეკებოდა»?

ბ. ამირეჯიბი ამასაც გვატყობინებს: «ქართველმა სოციალ-დემოკრატიამ—სწერს ის—თავის პარტიაში შეიყვანა ის სოციალური კლასები—გლეხობა და წვრილი ბურჟუაზია»-ო...

რატომ გლეხობა და წვრილი ბურჟუაზია და არა სხვა ვინმე?

ბ. ამირეჯიბის მტკიცებით ეს სხვა ვინმე თურმე არც კი არსებობდა, «პროლეტარიატი—ამბობს ის— არ არსებობდა, მაშასადამე მსხვილი წარმოებაც, ე. ი. მსხვილი ბურჟუაზია»-ო...

ამ რიგათ, რაკი მსხვილი ბურჟუაზია და პროლეტარიატი არ არსებობდა, დარჩა მხოლოდ გლეხობა და წვრილი ბურჟუაზია; ე. ი. მთელი ერი. მართალია არის კიდევ «ნაშთი ძველი დიდებისა»—თავადაზნაურობა, მარა ბ. ამირეჯიბი ამათ მორცხვათ გვერდს უვლის, თუმცა მათ სასარგებლოთ ოფლსა ღვრის. ტყვილი შრომაა. თუ ვინმე დაიშალა და აღიგვა პირისა საქართველოისაგან—ეს სწორეთ ის კლასი, რომლის ერდგული დამცველი იყო და არის ბ. ამირეჯიბი და კომპ. ესაა ფეოდალური კლასი და რამდენიც არ უნდა მალოს და აფერადოს ამირეჯიბმა და მისმა ჯგუფმა თავის ზრახვები და მიდრეკილებანი—მაინც ვერას გახდებიან. შუბი ხალთაში არ დაიმალება. ზუბრის ეშვები შორიდან მოსჩანს. ის შეცდომაში ვერავის შეიყვანს

შესტოპა რა უთავბოლობის მორევში ბ. ამირეჯიბი ველარ ერკვევა კითხვათა რთულ ლაბირინტში, იბნევა, იხლართება და თავის დაბნეულობა ისტორიაზედაც გადააქვს. ის ირწმუნება რომ «გლეხობის და წვრილ ბურჟუაზიის მეგობრობამ სოციალდემოკრატიასთან იმ დრომდე გასტანა, ვიდრე ქართველმა

ნაციონალური და ინტერნაციონალური

ეს საკითხი დასვა ჰააგის კონფერენციამ. სნოუდენის ნაციონალურ პოლიტიკაში დანახულ იქნა წინააღმდეგობა სოციალიზმის ინტერნაციონალური პოლიტიკისა. აზრთა გაცვლა-გამოცვლამ დაგვანახვა მოძმე პარტიების სხვადასხვანაირი დამოკიდებულება აღძრულ საკითხისადმი. ბელგიის და საფრანგეთის სოციალიზმის წარმომადგენელთ დაუპირდაპირდა ავსტრიის სოციალდემოკრატიული პარტია, ხოლო გერმანიისამ დაიჭირა მეგობრული «ნეიტრალიტეტი». თუ კი ასეთ აშკარა ფაქტზე, როგორიც არის ჰააგის კონფერენცია, ინტერნაციონალი ვერ შეთანხმდა, რაღა უნდა ითქვას უფრო რთულ და მძიმე მოვლენაზე, როგორიცაა მაგ. ომი, თუ ის პრაქტიკული პოლიტიკის დღის წესრიგში დაისვა. უეჭველია ასეთი მოტივებით ხელმძღვანელობდა ინტერნაციონალის სეკრეტარი ფრ. ადლერი როცა ჰააგის კონფ. სრულიად დამოუკიდებლად თავის წერილს სწერდა და სოციალისტური დისკუსიის დღის წესრიგში ნაციონალურის და ინტერნაციონალურის გამოკვლევას აყენებდა *). აქ მთელი პრობლემა ფართეთ გაშლილი, საჯაროთ დასმულია, ხაზი აღებულია. აქ წამოყენებული თეორეტიული დებულებანი და პოლიტიკური დასკვნები უეჭველია ეხება პრობლემის დედა-ძარღვს და სავსებით საამდროვოა. რასაკვირველია, სტატიაში ბევრი სადაო აზრებია, ბევრი პირადი კეთილშობილური განცდაა, პსიხოლოგიური მომენტი ხშირათ ფარავს პოლიტიკურ მომენტებს, მაგრამ ერთი ნათელია: ნაციონალური და ინტერნაციონალურის ურთიერთობა, სიმძიმის ეს სათავე, გარკვეულათ წამოყენებულია და მასზე ასეთივე გარკვეული პასუხი გაცემულია.

როგორც ხედავთ ჰააგის კონფერენცია და ფრ. ადლერის წერილი გვითითებენ აღძრულ დავაში ჩარევის საჭიროებას და აზრთა გაცვლა-გამოცვლის აუცილებლობას.

I რას ნიშნავს ინტერნაციონალური და ნაციონალური? ამჟამათ ორი საერთაშორისო პოლიტიკური საზოგადოებაა: სოციალისტური ინტერნაციონალი და ერთა ლიგა. ე. ი. ორივეში შეერთებულია სხვა და სხვა ნაციები, ორივე ინტერნაციაა. მაგრამ ამ სფეროში არის ერთი დიდი განსხვავება. ერთა ლიგა არის სინამდვილეში არა ერთა, არამედ სახელმწიფოთა, მთავრობათა ლიგა. ერი არა-სუვერენი მასში არ შედის, მისთვის არ არსებობს. პირვანდელი განზრახვა მართლა ერთა ლიგის დაარსების გზადაგზა შეიცვალა მთავრობათა კავშირით. გაბრიელ ჰანოტის წინადადებამ სავსებით გაიმარჯვა, თუმცა სახელი ამ საზოგადოებას ვილსონის დაუტოვეს.

სულ სხვაა ჩვენი ინტერნაციონალი, აქ თავმოყრილია სოციალისტური ორგანიზაციები როგორც სუვერენულ, ისე არასუვერენულ ერების, ყველა სადაც კი თანამედროვე წარმოების წესი აღორძინებულია და თანამედროვე კლასები ჩამოყალიბებულია. აქ გადამჭრელი მომენტია ერთა არა პოლიტიკური სტრუქტურა, არამედ მათი ეკონომიური და სოციალური მდგომარეობა. რაკი აქ შემოდის ევროპის კულტურის ყველა ერი, განურჩევლათ მისი სახელმწიფოებრივი პირობებისა, ცხადია აქ თავს იყრის ყველა მათი ძირითადი მისწრაფებანი, სოციალიზმის შუქში გატარებული. ეს მისწრაფებანი შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიათ: მისწრაფებანი სუვერენული ერთა პარტიებისა და მისწრაფებანი არა-სუვერენულ, დამორჩილებულ ერთა. მათ შორის სოციალური ერთიგივეობა და პოლიტიკური განსხვავება ბადებს აუცილებლობას ინტერნაციონალში წმინდა ნაციონალურ პრობლემათა შემოჭრისას და სოციალური მოძრაობის ფარგალში მოთავსებისას. ამ პრობლემის უკუგდება და წმინდა სოციალურ-პოლიტიკურ ნიადაგზე დარჩენა შეიძლება ერთი საშუალებით—ერთა ლიგის წაბაძვით, არა სუვერენული ერთა პარტიების ინტერნაციონალიდან გაძევებით, ე. ი. ინტერნაციონალის არსებული საფუძვლის მოშლით და ერთა ლიგის საფუძვლის მიღებით. ამ ხაზის ტენდენცია არც კი არსებობს. სამაგიეროთ არსებობს ტენდენცია მეორე სახის, იმავე მიმართულებით მიმავალი: ნაციონალური მოთხოვნილება აღაგმონ, დაამცირონ, ნაციონალურის და ინტერნაციონალურის ურთიერთობის ახალი განსაზღვრით, ახალ დებულებათა გამომუშავებით, რომელიც უკარნახებს თვითეულ პარტიას მის ტაქტიკას, მის ბრძოლის საგანს. აი ეს ტენდენციაა გატარებული ადლერის წერილში. მას მოყავს მარქსის და ბაუერის აზრი ამ საგანზე ამ ტენდენციის დასასაბუთებლათ. განვიხილოთ ორივე ეს საბუთი.

«კომ. მანიფესტში» ვკითხულობთ:

«კომუნისტები განსხვავდებიან სხვა მუშათა პარტიებიდან მხოლოდ ორი მუხლით: პირველათ, ისინი პროლეტარიატის სხვადასხვა ნაციონალურ ბრძოლაში წინ აყენებენ და უალრესათ აღიარებენ პროლეტარიატის საერთო ინტერესებს, რომელნიც არ არიან დამოკიდებულნი ნაციონალური მომენტიდან, მეორეთ, ბურჟუაზიის და პროლეტარიატს შორის წარმოებულ ბრძოლის სხვადასხვა ფაზაში კომუნისტები წარმოადგენენ ყოველგან და ყოველთვის მოძრაობის საერთო ინტერესებს».

რას ნიშნავს ეს დახასიათება? აქ წამოყენებულია ორნაირი მოვლენათა არსებობა: ერთია ნაციონალური, მეორე ინტერნაციონალური, ე. ი. მოვლენანი, რომელიც არ არის დამოკიდებული ნაციონალურ მომენტზე, არ არის მისი სპეციალური კუთვნილება, არ გამომდინარეობს მისი საკუთარი ყოფა-ცხოვრებიდან და მდგომარეობიდან. არის საერთო, საკაცობრიო მოვლენის ერთი ადგილობრივი შტო და წარმოადგენს მოვლენას ინტერნაციონალურს. აი ამ მოვლენის აწერას და დახასიათებას შეიცავს მთელი მანიფესტი. ეს მოვლენაა კაპიტალისტური წარმოება და აღებმიცემობა, ბურჟუაზიის და პროლეტარიატის არსებობა, კლასთა ბრძოლა. რა არის ნაციონალური? ნაციონალურია ის სოციალური და პოლიტიკური ფორმები, რომლის ფარგალში წარმოებს ეს ძირითადი საერთაშორისო მიმდინარეობა. ერთ ერში პოლიტიკური თავისუფლებაა, მეორეში კიდევ ძველი რეჟიმია, მესამე გაბატონებულია, მეოთხე დამორჩილებულია და ასე ბოლომდე. ყველა ეს კერძო, ადგილობრივი მდგომარეობა შეადგენს საგანს პარტიის ადგილობრივი ბრძოლისას; ნაციონალური ბრძოლის ლოზუნგები დგებიან გვერდით ინტერნაციონალური ბრძოლის ლოზუნგებთან და მის ერთათ ერთ პროგრამას შეადგენენ. ვინაიდან საერთაშორისო მოვლენა—პროლეტარიატის კლასიური ბრძოლა და მისი ემანსიპაცია—მოძრაობის მიზანია, ცხადია ადგილობრივი მოვლენანი მას ემორჩილებიან და მის ხაზზე დგებიან. ყველა ის ნაციონალური საჭიროება, რომლის დაცვა პოლიტიკურათ აძლიერებს ნაციონალურ პროლეტარიატს, ამაგრებს მის კლასიურ ორგანიზაციას და აფართოვებს მის გავლენას ფართო მასაზე, აძლიერებს მის ინტერნაციონალურ მისწრაფებას, მთელ ინტერნაციონალურ მოძრაობას. ამიტომ თვითეული ერის მუშათა პარტია დაინტერესებულია მისი მოძმე პარტიების გაძლიერებაში ნაციონალურ ფარგლებში, თუნდაც მათი ბრძოლის ნაციონალური საგანი სხვადასხვა იყოს.

სოციალისტური პარტია განირჩევა სხვა პროგრესიულ და რევოლიუციურ პარტიებისაგან არა იმით, რომ ის უარყოფს მათ პროგრესიულ და რევოლიუციურ მოთხოვნილებებს, არამედ იმით რომ იღებს რა ამ მოთხოვნილებებს თავის პროგრამაში, მათ უმორჩილებს თავის საერთაშორისო საბოლოო, სოციალისტურ მიზანს. ბრძოლის ნაციონალური ფორმა ხდება ინტერნაციონალიზმის გზათ და ხიდათ. ისინი განუყრელნი არიან, ურთმანეთოთ მოკვდებიან. ერთობა სხვადასხვაობაში, სხვადასხვაობა ერთობაში—აი ინტერნაციონალი. «კომ. მანიფესტის» ზემოთ მოყვანილი დებულებანი სწორეთ მოძრაობის ამ ხაზს ხატავენ. სოციალისტები ამ მრავალფეროვან პოლიტიკურ მოძრაობაში «წინ აყენებენ პროლეტარიატის საერთო ინტერესებს», «წარმოადგენენ ყოველთვის და ყოველგან საზოგადო მოძრაობის ინტერესებს». ე. ი. მიმდინარე პოლიტიკას და მის ფორმებს უმორჩილებს მუშათა კლასის საბოლოო მიზანს—სოციალურ რევოლუციას. აი ნამდვილი ინტერნაციონალიზმი და ამ გზაზე იდგა დღევანდელამდე საერთაშორისო სოციალისტური ორგანიზაცია.

ახლა იწყებენ ამ გზის რევიზიას. «კომ. მანიფესტის» ზემოთ მოყვანილ დებულებებს ფრ. ადლერი ოტო ბაუერის დებულებებს, როგორც [illegible] დამტკიცებას და გარკვევას. ბაუერი სწერს:

«ინტერნაციონალიზმი ნიშნავს დაქვემდებარებას ყველა კერძო ნაციონალურ მიზნების მთელი პროლეტარიატის საერთო კლასიური ინტერესებისათვის».

კომ. მანიფესტი სრულიად არ ხმარობს სიტყვას «დაქვემდებარებას», იქ არის ნახმარი სიტყვა «წინ წამოწევა». თუ ბაუერი «პროლეტარიატის საერთო კლასიურ ინტერესებში» გულისხმობს მოძრაობის საბოლოო მიზანს, მაშინ ის ცოტა სხვა სიტყვით ამბობს იმას, რასაც მარქსი და ენგელსი. მაგრამ ავტორის მაგალითებიდან ჩანს, რომ მისი გაგება «საერთო ინტერესებისა» დიდათ განსხვავდება მარქსის გაგებისაგან. ის სწერს:

«ჩვენ უნდა დავიცვათ თვითეული ნაციონალური მოთხოვნილება, რომლის განხორციელება ევროპის დემოკრატიზაციისა და გარევოლუციონერებისათვის სასარგებლოა; წინააღმდეგ, ჩვენ გადაჭრით უნდა შევებრძოლოთ ყველა ნაციონალურ მოთხოვნილებას, რომელიც სოციალურ ან პოლიტიკურ რეაქციას აძლიერებს. აგრეთვე ნაციონალური ინტერესები და ნაციონალური თვით გამორკვევა იმდენათ და იმდენ ხანს უნდა [illegible], რამდენათ და რამდენ ხანს ეს მთელი პროლეტარიატის კლასიურ ინტერესებს ეთანხმება. ყველა სოციალური, პოლიტიკური და ნაციონალური მოვლენა უნდა განვიხილოთ არა ერთი ნაციის თვალთახედვით, არამედ მთელი ინტერ. პროლეტარიატის ინტერესების მიხედვით» და სხ.

მარქსისეულ ინტერნაციონალიზმის ნიშანდობლივი თვისება თვითეული ნაციონალური პარტიის ერთმანეთთან დაკავშირება საერთო სოციალისტურ

---

*) «Der Kampf». «Falls der krieg dennoch ausbrechen solte». აგვისტო 1929.

გლეხობამ და წვრილმა ბურჟუაზიამ ეროვნული დამოუკიდებლობა არ მოიპოვესო».

ამ რიგათ, ჩვენს პარტიაში თურმე შედიოდა გლეხობა და წვრილი ბურჟუაზია, იყო შიგ მანამდე, სანამ გამოცხადდა დამოუკიდებლობა, ხოლო, როგორც კი გამოცხადდა დამოუკიდებლობა—მაშინვე გაშორდა.

მარა, ერთი ვკითხოთ ამ უებრო ისტორიკოს—როგორ მოხდა რომ სწორედ დამოუკიდებლობის დროს, დამფუძნებელ კრებაში, 130 დეპუტატიდან—სოციალდემოკრატიამ 102 გაიყვანა? ვინ მისცა ხმა მათ თუ არა იმავე «გლეხობამ და წვრილ ბურჟუაზიამ»?

«სამშობლოს» რედაქციაში რომ ერთი საქმის მცოდნე კაცი მაინც იყოს ბ. ამირეჯიბს ამ აბდა-უბდასთვის კარგა მაგრა ყურს აუწევდა და კუთხეში გააჩერებდა.

და თუ ბ. ამირეჯიბი ასე ამახინჯებს არც ისე ძველ ამბავს, თქვენ ადვილათ წარმოიდგენთ რა იქნება მისი ლექციები 18-19 საუკ. ლიტერატურის შესახებ, რომელსაც ის თურმე სადღაც კითხულობს.

ბრმათა შორის ცალთვალაც ვაჟკაციაო—უთქვამთ ძველათ.

«სამშოლოს» ბრმებში, როგორც სჩანს, ამირეჯიბიც თვალხილულია...

ძველი.

◆

ბ. ბესედოვსკის ნაამბობი

ჩვენმა თანამშრომელმა მიმართა ბ. ბესედოვსკის თხოვნით გაეზიარებია ჩვენთვის ის ცნობები, რომელიც მას აქვს შესახებ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკისა საქართველოს მიმართ.

ბ. ბესედოვსკი მეტათ თავაზიანათ გამოეხმაურა ჩვენს თხოვნას და სიამოვნებით მოგვაწოდა მეტად საგულისხმიერო ინფორმაცია მთელ რიგ მოვლენების შესახებ. დაწერილი ინტერვიუ მან თვით გადაიკითხა და რამდენიმე ფრაზა თავის ხელით ჩააწერა.

პირველი სიკითხი, რომელიც მას დაუსვა ჩვენმა თანამშრომელმა ეხება მოსკოვის თავდასხმას საქართველოზე და იმ როლს, რომელიც ითამაშეს მის მომზადებაში ბოლშევიკების სხვადასხვა ჯგუფებმა და პიროვნებებმა.

* * *

ბ. ბესედოვსკიმ თქვა შემდეგი: საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრების ინიციატივა ეკუთვნოდა კავკასიელ ბოლშევიკების ჯგუფს, რომელსაც სათავეში უდგა ს. ორჯონიკიძე და რომელშიც შედიოდენ ყველა ცნობილი ქართველი ბოლშევიკები. უკანასკნელთაგან მხოლოდ ფ. მახარაძე იყო საქართველოზე სამხედრო გალაშქრების წინააღმდეგი, ხოლო მთავარი როლი ამ საქმეში ითამაშა სტალინმა—იმ დროს «ეროვნებათა კომისარმა»; სტალინმა დასვა კითხვა მოსკოვის პოლიტბიუროში და გამოვიდა მომხსენებლათ. მისი მოხსენების მთავარი მოსაზრებები იყო: 1) ბაქოს ნავთის დაპატრონება თავისთავად სვამს ბათუმის ხელში ჩაგდების საკითხს, რის გარეშე საბჭოთა რუსეთი ვერ შესძლებს ბაქოს ნავთის სავსებით გამოყენებას; საქართველოს მენშევიკური მთავრობა, რომელიც—ირწმუნებოდა სტალინი—უკვე არ გვაძლევს ცისტერნების საკმაო რიცხვს და არ უშვებს მატარებლებს, მომავალში ყოიელნაირად შეუშლის ხელს ბათუმის გზით ნავთის და მის პროდუქტების გაზიდვას. 2) საქართველოს მოსახლეობის ყველა წრეები, განსაკუთრებით კი გლეხობა და ინტელიგენცია შეპყრობილნი არიან სიძულვილით მენშევიკური მთავრობის მიმართ; ქართველი ხალხი ადვილად შეურიგდება ყოველივე ხელისუფლებას, რომელიც ამ მისთვის საძულველ მთავრობის ადგილს მოვა.

სტალინის წინააღმდეგ ძლიერ სასტიკად გაილაშქრა ლენინმა. მან გამოსთქვა რწმენა, რომ ქართველ სოციალდემოკრატებთან ადვილი იყო შეთანხმება საქართველოს გზით ბაქოს ნავთის გაზიდვის შესახებ; რაც შეეხება სტალინის ცნობას თითქოს ქართველი გლეხობა და ინტელიგენცია სიძულვილით ეკიდებოდა მენშევიკურ მთავრობას, ლენინს ეს სრულიად არ სჯეროდა. მაგრამ მთავარი მისი მოსაზრება იყო რწმენა, რომ საქართველოზე თავდასხმა გამოიწვევდა ინგლისის ჩარევას, რაც დიდ საფრთხეს მოასწავებდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

საინტერესოა, რომ ამ დავაში ტროცკი უფრო ახლო იყო სტალინთან, ვინემ ლენინთან.

უკანასკნელის წინადადების თანახმათ, პოლიტბიურომ დაადგინა არ აყოლოდა ამ ავანტიურას. მაგრამ პოლიტბიუროს დადგენილებამ სტალინს ვერ აალებია ხელი თავის განზრახვაზე; ის განაგრძობდა მუშაობას, მხოლოდ რამდენიმედ შესცვალა პლანი; გავრცელებულ იქნა ახალი ვერსია: თითქოს საქართველოს განაპირა მოსახლეობა, შემდგარი სომეხ-ადერბეიჯანელ-ოსებით, საქართველოს მთავრობით უკმაყოფილო, ამზადებს აჯანყებას; სტალინი მოითხოვდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ვითომდა მოსალოდნელი აჯანყება წარმატებით განვითარდებოდა და აჯანყებულები ტფილისზე წავიდოდენ, წითელი არმია გამოსულიყო მათ დასახმარებლათ.

მეორე მხრით ჩიჩერინმა გააკეთა პოლიტბიუროში მოხსენება, რომელშიაც იტყობინებოდა: ბრიტანეთის მთავრობის ზოგიერთმა წარმომადგენლებმა გააცხადეს კერძო ლაპარაკში, რომ ინგლისი არაა დაინტერესებული ამიერკავკასიაშიო; ჩიჩერინის აზრით, საქართველოზე თავდასხმას არ უნდა გამოეწვია ინგლისის ჩარევა.

სტალინის ახალმა ვერსიამ და ჩიჩერინის განცხადებამ ვერ შეარყია ლენინის პოზიცია: ის ისევ გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა სტალინის პლანს.

მაგრამ პოლიტბიუროს წევრებს ეჭვი არ შესდიოდათ რომ სტალინი და ორჯონიკიძე განახორციელებდენ განზრახულ გეგმას: მოაწყობენ ვითომდა აჯანყებას, რომელშიაც საქართველოს განაპირა გლეხების როლში გამოიყვანდენ გადაცმულ წითელ არმიელებს. ნამდვილათ კი, ეს თვალთმაქცობაც კი არ ყოფილა ნახმარი, ყველაფერი მოახდინეს უხეშათ: წითელი არმიის ნაწილები არტილერიით პირდაპირ შეიჭრენ საქართველოს საზღვრებში.

როცა მოვიდა პირველი ცნობები ბრძოლებზე წითელი არმიის და ქართულ ძალების შორის, ლენინმა მოითხოვა სამხედრო მოქმედების დაუყონებლივი შეჩერება და საქართველოზე თავდასხმის მომწყობთა უმაღლესი სასჯელით დასჯა. გაიმართა მოლაპარაკება მოსკოვსა და კავკასიის წითელი არმიის სარდლობის შორის. მაგრამ ტფილისის დაცემის ამბავმა შეატრიალა მდგომარეობა: ლენინმა განაცხადა—რადგან საქმე წარმატებით დამთავრდა რამენაირად უნდა მივაფუჩეჩოთო; მარცხი რომ მომხდარიყო, თავდასხმის მომწყობის თავი გადავარდებოდაო.

მისი ინიციატივით გაიგზავნა სასწრაფოთ საქართველოში ა. ენუქიძე, რომელსაც დაევალა შეთანხმებოდა ქართველ სოციალდემოკრატებს და მოეწყო ახალი ხელისუფლება. ბოლშევიკებიდან მთავრობაში უნდა შესულიყვენ ისეთი პირები, რომლებსაც გავლენა და სახელი ჰქონდათ გლეხობაში და ინტელიგენციაში. ამ მხრით ლენინს იმედი ჰქონდა განსაკუთრებით ბუდუ მდივანის, ნახსნები იყო კოალიციაც კი, უნდა დაეტოვებიათ მენშევიკების დროს არსებული წყობილება, ფულის სისტემის შენარჩუნებით.

როგორც იცით, ამგვარ სულისკვეთებას დიდი დღე არ ჰქონია. გამოირკვა თუ არა ქართველ ბოლშევიკების ნაწილის-გადახრა, მოსკოვი შეუდგა მთელი რიგი ენერგიული ზომების გატარებას არა მარტო უკლონიზმის, არამედ აგრეთვე ე. წ. ავტონომიის აღმოსაფხვრელათ. უპირველეს ყოვლისა დაიწყეს ქართული ფულის ნიშნების ლიკვიდაცია, რისთვისაც საგანგებოთ მიავლინეს საქართველოში ვინმე თუმანოვი, რუსეთ-აზიურ ბანკის წვრილი ჩინოვნიკი, 1918 წელს გაბოლშევიკებული.

საბჭოთა საქართველოს ავტონომიურ უფლებების ლიკვიდაცია სრულდება ამ ჟამათ უკანასკნელი ზომით—საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის გაუქმებით და უნდა ვიფიქროთ, რომ ავტონომიისაგან დარჩება მხოლოდ ის, რომ დახვრეტის ხვედრ ქართველთ სამშობლო ენაზე გამოუცხადებენ სასიკვდილო განაჩენს.

* * *

იმ მასიურ ხვრეტის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1924 წ. აჯანყების დღეებში, ბ. ბესედოვსკი გადმოგვცემს შემდეგს: როცა მოსკოვში მიიღეს ცნობა საქართველოში აჯანყების შესახებ, შეიქნა შიში რომ საქართველოს გამოსვლას მოჰყვებოდა გლეხთა აჯანყებები აგრეთვე სხვა საბჭოთა რესპუბლიკების ფარგლებში და რომ ქართველი სოციალდემოკრატები თამაშობდენ ამ ფართო მოძრაობის მოთავის როლს. ამიტომ გადაწყვეტილ იქნა (ამ გადაწყვეტილებაში მთავარ როლს თამაშობდენ გარუსებული «ინაროდცები» სტალინი და დერჟინსკი) მოესპოთ ქართველი სოციალდემოკრატიის კადრები. ამ პარტიის დაპატიმრებულ წევრებს ჟლეტდენ აჯანყებაში მონაწილეობის მიუხედავათ. გაცემულ იქნა ბრძანება დაეხვრიტათ ისინიც კი, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ დიდის ხნის წინ აჯანყებამდე და უკვე გადაყვანილი რუსეთის ციხეებში; საკმარისი იყო, ასეთები შემჩნეულ ყოფილიყვენ სამშობლოსან უბრალო მიწერ-მოწერაში.

მე ვიცი რომ როსტოვში დახვრიტეს ამგვარათ ჩხიკვიშვილი და სხვ. ხარკოვში—ათი ქართველი სოციალდემოკრატი, დაპატიმრებულნი 1922 წელს; აგრეთვე მოსკოვში დაიხვრიტა რამდენიმე სოციალისტი.

◆

საბჭოთა კავშირში

სასურსათო კრიზისი.

«ოქტომბრის რევოლუციის წლისთავზე მუშათა რაზმები ამაყათ აფრიალებენ დროშებს, რომელზედაც დაწერილია გმირული ბრძოლები სამეურნეო ფრონტზე, უდიდესი მიღწევანი სოციალიზმის მშენებლობის საქმეში; პროლეტარულ ქალაქს ფეხდაფეხ მისდევს სოფელი, რომელიც პურით დატვირთული წითელი ქარავანებით ამაგრებს სოციალისტურ მშენებლობას». «დღეს—განაგრძობს ამავე წერილის უსახელო ავტორი—ჩვენ პირდაპირ მივადექით უდიდესი პრობლემის გადაჭრის საჭიროებას: ტეხნიკურ-ეკონომიურათ დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს». ამ ამოცანის გადაჭრის სურვილი ისე დიდი და მძლავრი ყოფილა მუშათა მასებში, რომ «მათ თვით დაივალეს და ყველასაგან მოითხოვენ, რომ «ხუთწლედი» შესრულებულ იქნას ოთხ წელიწადში («იზვესტია» № 260, 10 ნოემ. 1929 წ.).

ერთ თავის საიუბილეო წერილში კომპარტიის ბელადი სტალინი სწერს: «სულ მალე ჩვენ განცვიფრებაში მოვიყვანთ ქვეყანას, ჩვენი «სოციალისტური სამშობლოს» თითოეული მუშა ავტ[illegible] მესაკუთრე გახდება, მხოლოთ გლეხი [illegible] რით გასჭრის მიწას»...

თუ დავუჯერებთ «იზვესტიის» ამ სტრიქონების ავტორს ბრძოლის უმთავრესი საფეხურები სამეურნეო ფრონტზე განვლილია, საკმარისია ცოტაოდენი გამძლეობა და ენერგიის გაძლიერება, რომ სტალინის დაპირება რამდენიმე წელიწადში გამართლდეს. შეიძლება დაიჯეროს ეს ვინმემ? შესაძლებელია ირწმუნო, რომ საბჭოთა კავშირი, რომლის მოქალაქე-გლეხი თუ მუშა იძულებულია დღეს 300 გრ. პურის მისაღებათ საათობით რიგში იდგეს, რომ ასეთი დაძაბუნებული ქვეყანა ოთხ-ხუთ წელიწადში შესძლებს ისე აღადგინოს და განავითაროს თავისი საწარმოვო ძალები, დააგროვოს დოვლათი, რომ მუშის და გლეხის ცხოვრება უზრუნველყოს ნივთიერი კმაყოფილებით და კომფორტით? ამის პასუხს საბჭოთა კავშირის სინამდვილე იძლევა.

«სასურსათო ბარათებით პურს ჯერ რეგულიარულათ გვაძლევენ (უმეტესათ პური ცუდი ღირსებისაა), ხორცის მიღება კი გაძნელებულია. სხვა დანარჩენი პროდუქტები თითქმის აღარ არის. მაგ. კვირაში იძლევიან ერთ კვერცხს ერთ კაცზე. არ არის აგრეთვე მანუფაქტურა, ფეხსაცმელი. ჩემი და ნახევარი წელიწადი და სრულიათ ამაოთ ცდილობს მიიღოს თეთრეული თავისი პატარა ბავშისათვის. ფასები საქონელზე საზღაპროა. კიდევ გვშველის კერძო მოვაჭრე. საუბედუროთ, ხელისუფლება ებრძვის მას სხვადასხვა ზომებით და მგონი განზრახულია კერძო ვაჭრობის სრული აღკრძალვა. ალბათ განმეორდება დამშეული 1920-21 წ.წ. ამბები. სად არის შველა!.. თქვენ ადვილათ წარმოიდგენთ თუ რა მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს ჩვენზე ეს «ხუთწლედები», სოციალისტური შეჯიბრებანი, ეს ისტერიული ყვირილი, რომ ჩვენ წინ უსწრებთ ბურჟუაზიულ ევროპას»-ო. ასე აგვიწერს დღევანდელ სასურსათო მდგომარეობას «დნის» კორესპონდენტი.

«მემარცხენე კურსი მტკიცდება. ეკონომიურათ ეს «ხუთწლედში» გამოიხატა, პოლიტიკურათ წმენდაში და ტერორის გაძლიერებაში. კუდები, რიგები სახელ. და კოოპერ. მაღაზიების წინ, სანოვაგის და მანუფაქტურის ნაკლებობა ქმნის «სამხედრო კომუნიზმის» დროის ატმოსფერას. საბჭოთა კავშირის მცხოვრები იმას ფიქრობს, თუ სად და როგორ მოახერხოს სანოვაგის შოვნა, რომ ოჯახი შიმშილისაგან არ დაეხოცოს». ასე იტყობინება «სოც. უწყების» კორესპონდენტი. ამავე ნომერში მეორე კორესპონდენტი შემდეგს სწერს:

«ტეზისები» და დიდი პოლიტიკა «ობივატელის» ყურადღებას სრულიათ არ იპყრობს, ის დღეს შეპყრობილია ერთი დარდით, ერთი ზრუნვით: გაწმენდის ბადეში არ მოხვდეს და დროზე რიგში ჩადგეს, რომ სანოვაგე მიიღოს და მით ოჯახი უზრუნველყოს. სასურსათო მდგომარეობა გაუარესდა. კვლავ დაიწყო «მეტომრეობა». ქალაქი სოფელში მიდის, სოფელი ქალაქს აწყდება და როგორც ძველათ, «სამ. კომუნიზმის» დროს ყველა სანოვაგის ძებნაში ატარებს დღეებს. საუბედუროთ, შიმშილს სიცივეც დაემატა, არ არის სათბობი მასალა. ტრანსპორტის ნორმალური მსვლელობა დაირღვა. მგზავრები სამი-ხუთი დღე ასობით ყრიან სადგურების დაბინძურებულ იატაკზე მატარებლის მოლოდინენი. ასეთია ჩვენი ცხოვრების პროზა, პოეზია კი იმაში მდგომარეობს, რომ ხმებს, ნიშნებს და ჭორებს სიხარბით იჭერენ. ამბობენ, რომ ჩიჩერინს რუსეთში დაბრუნება არ სურს. ეს საკვირველი ამბავია, მარა უნდა იცოდეთ, რომ მთელი ჩვენი ცხოვრება საკვირველებაა!!.»

ფრან. გაზ. «მატენში» მოთავსებული იყო შემდეგი ცნობა: «თუ რადიკალური ზომები არ იქნა მი-

---

დებულებათა ნიადაგზე (კლასთა ბრძოლა, პროლეტარიატის საბოლოო ემანსიპაცია და სხ.); ბაუერისათვის ინტერნაციონალიზმი მდგომარეობს ყველა ნაციონალური ბრძოლის ყველა ფორმების დამორჩილებაში ერთი საერთო ცენტრისათვის, საიდანაც გამოდის შესაფერი სავალდებულო დირექტივები ყველა სექციისათვის. ამით პარტიის პოლიტიკური ავტონომია ისპობა და ის იქცევა ცენტრის ტეხნიკურ აპარატათ. ცენტრი დგება მსაჯულათ თვითეულ პარტიის მოღვაწეობის და მას ზომავს ევროპის საჭიროების საზომით. რაც აძლიერებს ევროპის მუშათა კლას, მისაღებია, რაც არა—დასაგმობია. მსოფლიო ინტერნაციონალი ხდება თავისი შინაარსით ევროპის ინტერნაციონალათ, რასაც ბუნებრივათ მოყვება მისი ორგანიზაციულათაც ევროპის ფარგლებით გარემოცვა.

სოციალიზმის მოძღვრებაში არის ისეთი პოლიტიკური პრინციპები, რომელთაც ღირებულება აქვთ თავისთავათ, მომენტის და გეოგრაფიის გარეშე. ასეთია მაგ. დემოკრატია, ერთა თვითგამორკვევა და სხ. ინტერნაციონალი დღევანდლამდე მხარს უჭერდა ამ მოთხოვნილებებს ყოველგან სადაც კი ის ფეხს ადგამდა და მოძრაობის ღერძათ ხდებოდა. ახლა ავსტრიელი ამხანაგნი ფიქრობენ მათ მისცენ პირობითი ღირებულება, იმდენათ-რამდენათ... ეს ნიშნავს პრინციპიალურათ გადაბარგვას ბოლშევიკური მსოფლმხედველობისაკენ, რომელიც ყველა მოვლენას ზომავს საბჭოთა კავშირის ინტერესების მიხედვით. ინტერნაციონალის ასეთი მექანიზაცია, მისი იდეიური ბატონობის მაგიერ ორგანიზაციული ბატონობის დამკვიდრება, რასაკვირველია, ჩამოაქვეითებს მას კომინტერნამდე ყველა მისი შედეგებით.

და მართლაც «ჩვენ უნდა დავიცვათ», მარა ვინ ჩვენ? უეჭველია ინტერნაციონალში შემავალი ევროპის პარტიათა უმრავლესობა. ამათ დაინახეს მაგ. რომ ინდოეთის ნაციონალური მოძრაობა არყევს ინგლისის მუშათა მთავრობას და გაილაშქრენ ამ მოძრაობის წინააღმდეგ. ან და ავსტრიელთა მიმდინარეობა «ანშლუსის» სასარგებლოთ გამოჩნდა სახიფათოთ ზავისათვის და მას ინტერნაციონალმა დაადვა თავისი «ვეტო» (აკრძალვა). ასეთი მაგალითების ჩამოთვლა შეიძლება მრავალზე მრავალის. რა შედეგი შეიძლება მივიღოთ აქედან? ერთათ-ერთი: ინტერნაციონალის სახელის გატეხა დაგმობილ მოძრაობათა სამშობლოში, იქ სოციალისტური პარტიების გავლენის დაკარგვა, ნაციონალისტური პარტიების გაძლიერება—ერთი სიტყვით სოციალური და პოლიტიკური რეაქცია. და რადგანაც ასეთი ამბავი შეიძლება მოუვიდეს ყველა პარტიას რიგრიგობით—ცხადია ინტერნაციონალი დასუსტდება და დაირღვევა.

რამდენათ პარტია მასიურია, ხალხის შუაგულში შეჭრილია და მასან მჭიდროთ გადაბმულია, იმდენათ ის საჭიროებს მეტ თავისუფალ სამოძრაო კალაპოტს, მეტ გასაქანს და ადვილ მიმოხვრას. პირიქით, რამდენათ პარტია ვიწროა, მასისაგან მოშორებულია, მის ჭირ-ვარამთან პირდაპირ დაკავშირებული არ არის და წარმოადგენს იდეოლოგთა წრეს, პროპაგანდისტთა შეჯგუფებას, სექტანტურ განკერძოებას, ამდენათ მას ადვილათ შეუძლია მიიღოს თავის ყველა ნაბიჯების გადამწყვეტი დირექტივები გარედან, სხვა ერის ყოფა-ცხოვრებიდან გამომუშავებულ ტაქტიკური დასკვნებით. მას დასაკარგავი არა აქვს რა. ხოლო სახელს უდიდესი «ინტერნაციონალისტობისას» კი ზოგ წრეში დაიმსახურებს. დღეს არსებული ინტერნაციონალის ორგანიზაცია და მისი პოლიტიკა აგებულია მასიურ პარტიათა პსიხოლოგიაზე და საჭიროებაზე. ხოლო ადლერის და ბაუერის ახალი ტენდენცია უფრო შეეფერება ჩამორჩენილ, სექტანტურ მდგომარეობაში მყოფ უჯარო სარდლების სულიერ განწყობილებას.

ბაუერის მიერ წამოყენებული დებულებანი პრინციპიალურათ თიშავენ სოციალიზმს და დემოკრატიზმს ერთმანეთისაგან, დაშვებულია შემთხვევა როცა «მთელის» ინტერესი არ მოითხოვს დემოკრატიულ მოძრაობას, დემოკრატიულ რევოლიუციას რომელიმე ერში. ეს შეხედულობა უახლოვდება ბოლშევიკურ მსოფლმხედველობას რომელიც დემოკრატიას მხარს უჭერს ბურჟუაზიის ბატონობაში და უარს ყოფს «პროლეტარიატის დიქტატურაში». თავისუფალი სიტყვა, თავისუფალი ნაცია-მისაღებია ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მარა პროლეტარიატის ბატონობაში ყველა ეს არ შეადგენს «მთელის» ინტერესებს... ეს ხაზი მიგვიყვანს ჩვენ ინტერნაციონალის ძირითად რევიზიამდე.

ბაუერი სამართლიანათ აყენებს ერთ დებულებას—ნაციონალური მოვლენათა დაფასება უნდა ხდებოდეს არა მარტო ამ ნაციის თვალთახედვით, არამედ აგრეთვე მთელი პროლეტარიატის ინტერესების მიხედვითო. ე. ი. ინტერნაციონალის და მისი სექციების მუშაობა ერთმანერთს ეთანხმებოდეს. ეს უეჭველია. მაგრამ ავტორი უშვებს შემთხვევებს როცა ეს ასე არ არის, როცა ნაციას და ინტერნაციას შორის კონფლიქტია. აქედან პრობლემა: ამ კონფლიქტის თავიდან აცილება, ჰარმონიის შენარჩუნება.—აი ძირითადი საჭირ-ბოროტო საკითხი. რა გზით შეიძლება ამ მიზნის მიღწევა? გზა ერთათ-ერთია—მთელის და ნაწილის საერთო პრინციპების ნიადაგზე დარჩენა, წვრიმალი რეგლამენტაციის უკუგდება, ადგილობრივ მრავალ-ფეროვან ბრძოლაში გარედან ნაკლები ჩარევა, ერთი სიტყვით უდაოთ მიღება იმ აზრის, რომ მოძმე პარტიის მოღვაწეობა ნაციონალურ ნიადაგზე არის იმავე დროს ინტერესი ყველა სოც. პარტიების. ზოგ სოციალისტურ წრეში გავრცელებული აზრი, რომ ბოლშევიკური დიქტატურა მიუღებელია ევროპისათვის, ხოლო რუსეთისათვის ჩინებულია, ანდა ჩემი ერი უნდა იყოს თავისუფალი, ხოლო შენი არაო—ნაციონალური ეგოიზმის ღვიძლი შვილია. და რაც გასაკვირალია, ასეთი შეხედულობის ხალხს ხშირათ ყველაზე მეტ ინტერნაციონალისტათ მოაქვს თავი...

მთელი ეს ახალი რევიზიონული ტენდენცია გამოიწვია ომის და ზავის საკითხმა. ადლერი სრულიად მართალია, როცა ითხოვს ამ ძირითად საკითხში ინტერნაციონალს უნდა ქონდეს გამომუშავებული ერთი აზრი და ერთსულოვანათ გამოდიოდენო. აგრეთვე სამართლიანათ აღნიშნავს, რომ ომის და ზავის საკითხი არ არის პრინციპის და დოქტრინის საკითხი; მარქსიზმი არ ნიშნავს უეჭველ პაციფისტობასო და სხ. და მართლაც, თუ მოვიგონებთ წასულს დავინახავთ, რომ თვითონ მარქსი არა თუ პაციფისტობდა, პირიქით ხშირათ ომსაც კი ქადაგებდა, როგორც მაგ. 1853 წ. რუსეთ-ოსმალეთის კონფლიქტის გამო. ის ქადაგებდა ევროპის სამხედრო კოალიციას რუსეთის წინააღმდეგ. წინეთ ომში არ ხედავდენ მარტო ბოროტებას, როგორც ეს გულკეთილ პაციფისტებს სჩვევიათ. ომის და ზავის საკითხი არის მდგომარეობის და გარემოების საკითხი, ე. ი. ის სავსებით ტაქტიკის სფეროისაა. დღევანდელ ხანაში, მსოფლიო ომის შემდეგ, არსებულ პოლიტიკურ და ნაციონალურ ურთიერთობაში ომმა დაკარგა ყველა პროგრესიული თვისება და დარჩა მხოლოდ აღსაშფოთებელ ბოროტებათ. ვერავითარ საზოგადოებრივ კვანძს ის ვერ-გახსნის, ხოლო საზოგადოების ძირბუდიანათ დარღვევა კი შეუძლია. ჩვენი პაციფიზმი, მაშასადამე, გამომდინარეობს არა ტოლსტოური პაციფიზმიდან, არამედ არსებულ ძალთა შეფასებისაგან*). ომი დღეს მხოლოდ რეგრესიული მოვლენაა. იმას მიმართავს მხოლოდ რეაქციის წარმომადგენლნი რომ მისი საშუალებით თავისი რეაქციონური პოლიტიკა თავს მოახვიოს მეზობელ დემოკრატიულ ქვეყანას. ე. ი. დღეს ომი ხდება იარაღათ არა საერთაშორისო კონფლიქტების გადასაჭრელათ, როგორც ეს წინეთ იყო, არამედ პოლიტიკურ და სოციალურ რეაქციის გზადახიდათ. დიქტატურის ქვეყნები იარაღს ისხამენ და დემოკრატიის ქვეყნებს უპირდაპირდებიან. სოციალური დემოკრატიის გამარჯვების თავიდან ასაცილებლათ ომი—სრულიად მოსალოდნელი პერსპექტივაა. ეს გარემოება აძნელებს ომის პოლიტიკის გამომუშავებას დღეს. ერთი შეგვიძლია თამამათ ვთქვათ ძველებურ ომში მონაწილეობას არ მივიღებთ, მას გადაჭრით შევებრძოლებით. მაგრამ ასეთსავე უარყოფით დამოკიდებულებას დავიჭერთ მაგ. ვენგრიის ავსტრიაზე თავდასხმაში, ავსტრიის ფაშისტების მოწვევით? ავსტრიის სოც.-დემ. უარს იტყვიან სამშობლოს დაცვაზე? ან და საქართვ. სოც.-დემოკრატიას უარი უნდა ეთქვა ქვეყნის დაცვაზე წითელი ჯარების თავსდასხმის დროს?

ადლერის ცდა თავდაცვის მომხრეთ ინტერნაციონალისტობა წაართვას იმ მოსაზრებით, რომ ისინი თავს იცავვენო—სოციალისტურ საფუძველს მოკლებულია. ინტერნაციონალისტობის ნიშნობლივი თვისება ძევს არა ომის და ზავის ფარგალში, წინააღმდეგ შემთხვევაში ტოლსტოველები და დუხობორები უდიდესი ინტერნაციონალისტები იქნებოდენ. მარქსი, ენგელსი, ბებელი—ერთი სიტყვით თანამედროვე სოციალიზმის ყველა მამამთავარნი, რომელნიც უეჭველი პაციფისტები არ იყვენ, ინტერნაციონალის ოჯახიდან დიდი ხანია გამოსარიცხავი ყოფილან. მართალია ომის დროს შეიქნა ახალი სოც. ჟარგონი—ინტერნაციონალისტი დაარქვეს ციმერვალდელთ, მაგრამ რამდენათ ასეთი ინტერნაციონალისტები დაშორებულია სოციალიზმს დაგვანახვა ბოლშევიკებმა. შეიძლება იყოთ გადაჭრით თავდაცვის წინააღმდეგ, ე. ი. საუკეთესო «ინტერნაციონალისტი» და იმავე დროს ყოვლად საძაგელი სოციალისტი. საუკეთესო სოციალისტი საუკეთესო ინტერნაციონალისტია, მიუხედავათ მისი დამოკიდებულებისა ომის საკითხთან. დღეს ზავზე ყველაზე უფრო მაღლა სწორეთ ბურჟუაზია გაყვირის; კელოგის პაკტი უეჭველია საერთაშორისო მშვიდობიანობას ემსახურება. პაციფისტობა არასოდეს არ ყოფილა სოციალიზმის მონოპოლია, არც დღეს არის. მისი მონოპოლიაა სოციალისტური პოლიტიკა, ომშიაც და მშვიდობიანობაში. ჩვენი პაციფიზმი სწორეთ ჩვენი პოლიტიკით განირჩევა ბურჟუაზიული პაციფიზმიდან, კელოგ-ბრიანის პაკტიდან. მათი მიზანია მშვიდობიანობა დაამყარონ არსებულ ინტერნაციონალურ მდგომარეობაზე, ე. ი. ძალმომრეობაზე და უსამართლო საზღვრების არსებობაზე. ჩვენი პაციფიზმი კი იბრძვის ზავის დასამყარებლათ არსებული საერთაშორისო სტატუსკვოს გადაშინჯვაზე, ნაციონალური ურთიერთობის სამართლიანათ მოგვარებაზე,

---

*) ადლერის მიერ მოყვანილი ცნობა, ვითომ ქართველ სოც.-დემოკრატ. ერთი ჯგუფი ომის მომხრე იყოს სავსებით ფანტასტიურია.

ღებული და ხელისუფლებამ დროზე ვერ შესძლო საჭირო ხორბლის მომარაგება დიდი ქალაქები·უეჭველია დამშივდებაო».

ცხადია, რომ საბჭოთა კავშირის სასურსათო მდგომარეობა მწვავეა: ცოტაა პური, არაა ქართოფილი, ხორცი, კარაქი; ამ გარემოებამ აიძულა ხელისუფლება სანოვაგის გაცემის რეგლამენტაცია შემოეღო.

აი ასეთი გაჭივრების და უნუგეშო სურათის ფონზე კომპარტიამ ამოჭრა «ხუთწლედის» დიდი დაპირებანი. შექმნა ახალი ბლეფი, დააყენა სიტყვის დიდი კორიანტელი, მარა ხალხს არაფერი სჯერა და დიდი ტყუილი და საზიზღროებაა, როცა კომ. პრესა გვარწმუნებს, «რომ გლეხი და მუშა თავდადებით იბრძვის პარტიის გენერალური ხაზის გასატარებლათ», რომ ეს პოლიტიკა იწვევს დიდ თანაგრძნობას და აღფრთოვანებას სოფელსა და ქალაქში.

მართალია ეს?

ხელისუფლება და სოფელი.

სტალინმა ახალი კურსი აიღო და თუმცა მიხვეულ-მოხვეულათ, მარა არსებითად ნეპი დაასამარა. მართალია «სოც. უწყების» კორესპოდენტი, როცა ის ირწმუნება, რომ «მემარცხნე კურსი საბჭოთა კავშირში მტკიცდება»ო. «ხუთწლედი», ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია ყველაფერი ეს შედეგია ახალი კურსის, რომლის საფუძვლები სტალინმა ტროცკიდგან მიიღო. საბჭოთა კავშირის დირიჟორების წარმოდგენაში «შესვენების» საჭიროება წავიდა, რომ დღეს პირობები ითხოვენ «სოც. მშენებლობის» ტემპი გაძლიერდეს, მოწინააღმდეგე, მტრული ძალები მოისპოს და განადგურდეს; ეს ძალები კი ნეპის ხანაში წარმოიშვა, ამიტომ ახალი კურსი ნეპს უარყოფს და ებრძვის მთელ იმ ვითირებას, რომელიც ნეპმა გამოიწვია და გაზარდა. ნეპის პოლიტიკამ დიდათ გამოაცოცხლა სოფელი, გლეხმა სათესი მიწა გააფართოვა, მის დამუშავებას გულმოდგინეთ ხელი მოკიდა და თავისი ნაშრომი ბაზარზე გამოიტანა, ამიტომ ახალი კურსის სიმძიმე მთელი სიმწვავით თავს დაატყდა სოფელს, მის მომქმედ და მუყაით ნაწილს.

ეკონომიურათ ახალი კურსი «ხუთწლედში» გამოიხატა; დაწყებულია გრანდიოზული მშენებლობა ქარხანა-ფაბრიკების, გზებისა და ნავთსადგურის. ასეთი კაპიტალური მშენებლობა დიდ კაპიტალს მოითხოვს, საბჭოთა მთავრობას ფული არ აქვს, უცხოეთში საჭირო თანხის შოვნა გაძნელდა.

ბოლშევიკების გამბედაობა ცნობილია. მათ განზრახული აქვთ «ხუთწლედის» გეგმის გატარებისათვის საჭირო თანხა სოფელს აძრონ. სოფელს პური და სხვა სასოფლო ნაწარმოები მოსთხოვეს ისე რომ გლეხს სამაგიეროთ ვერაფერი შესთავაზეს. სოფელი აწრიალდა, გლეხი გაბრაზდა და თავის ნაწარმოების გადაყრა ნებაყოფლობით აღარ მოისურვა. ატყდა ბრძოლა, ფრონტი გაიხსნა. კომპარტია და მისი მთავრობა «სოციალიზმის» დროშის ქვეშ უტევს სოფელს, რომელიც იცავს თავის საკუთრებას, თავის ნაშრომს-ნაოფლარს. დღევანდელი სოფელი ნეპს იცავს, ის მისი მედროშეა.

კომუნისტურ პრესაში არის გახსნილი საინფორმაციეო განყოფილება პურის და ნედლეულობის კომპანიის მსვლელობის შესახებ. საბჭოთა კავშირის ყველი კუთხიდან მოდის ცნობები თუ როგორია მიღწევანი სოფლის ცარცვის ფრონტზე, რომელსაც დიქტატორები პურის დამზადების კამპანიას უწოდებენ. უნდა ითქვას. რომ სოფლის ცარცვა და დარბევა წარმატებით მიდის, მარა საინტერესოა, რომ სასურსათო კრიზისი მაინც ძირგამდგარი რჩება, ხალხის გამოკვება ოდნავ არ გაუმჯობესდა.

ცხადია ნაცარცვი პური და სხვა მასალა უცხოეთში იგზავნება ვალიუტის შესაძენათ ან მანჯურიაში მეომარ ჯარის გამოსაკვებათ. ვალიუტის დაგროვების სურვილს ყველაფერი ეწირება. «სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო» იმუშავებს გეგმას და აღრიცხვაზე აყავს ის ფაბრიკა-ქარხნები, რომელთა პროდუქცია გაიგზავნება მხოლოდ უცხოეთის ბაზარზე». ხალხი შიმშილისაგან ათასობით იხოცება, ჯანი მისი ტყდება, საწარმოვო ფაბრიკატების ნაკლებობის გამო მოსახლეობა შევიწროებულია, ხელისუფლება კი ვალიუტას ეძებს. ქიმერას მიყვება და ოთხ-ხუთ წელიწადში მუშა და გლეხს ჩიტის რძეს პირდება.

ამ რიგათ კრიზისი, როგორც განგრენა მოედო საბჭოთა კავშირის არსებას, ეს კრიზისი ღრმა და განუკურნებელია, სანამ აღებული მემარცხნე კურსი არ შეტრიალდება და ამ კურსის ინსპირატორები ხალხის რისხვის მსხვერპლი არ გახდებიან. მხოლოთ ბრძოლით შეიძლება მთავრობის პოლიტიკის შეცვლა და მისი სახალხო მეურნეობის და თავისუფლების სასარგებლოთ მიმართვა. საუბედუროთ დღეს მარტო სოფელი იბრძვის და მისი ბრძოლა ტერორში და ანარქისტულ აქტებში მჟღავნდება. «დნის» კორესპოდენტი იტყობინება თუ როგორ თვით გლეხები სწვავენ პურს, ქერს, თივას, რომ მისი ნაოფლარი ხელისუფლებამ ხელში არ ჩაიგდოს: «უკეთესია დავწვათ, ვინემ ჩვენი სიკეთე ჩალის ფასათ მთავრობას მივცეთ!»—ასე ფიქრობს გლეხი.

«ვინმე რიაბოვი ერთ თავის წერილში—ეს წერილი გეპეუმ ჩაიგდო ხელში—უმტკიცებს ადრესატს კავშირის და ორგანიზაციის საჭიროებას. რიაბოვი აქტიური კონტრრევოლიუციონერია, ის მოქმედებს, ქსელს აბამს, აგიტაციას ეწევა, აკავშირებს. მან ს. ოსტაშკოვა თავის გავლენის ქვეშ დააყენა, რამდენიმე გლეხი ტერორისტული აქტის მოსახდენათ გადაიბირა. მოკლეს ბატრაკი ტროფიმოვი, მძიმედ დასჭრეს ს. საბჭოს თავმჯდომარე ზაიცევი და ბევრი სხ. ორ სოფელში შვიდი აქტიური მუშაკი მოჰკლეს და დასჭრეს. მდგომირეობა ნათელია—ამბობს «იზვეს.» კორესპონდენტი—ანფელოვის ტერორისტული აქტი კლასიური მტრის თავდასხმაა, კონტრ-რევოლიუციონური იერიშია საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, «იზვ.» № 250). სრული სიმართლეა! გაჭივრებული ხალხის გულში დაგროვილი სიმწარე და აღშფოთება გამოსავალს ტერ. აქტებში პოულობს; ეს ერთობ ბრძოლის დაბალი საფეხურია, მარა ვიცით, რომ ბრძოლის ფაზა აქ არ შეჩერდება, აღშფოთება შეგნებაში გადავა და ორგანიზაცია და კავშირი მწობრათ მიმართავს ხალხის ბრძოლის ენერგიას დიქტატურის დასამხობათ.

სოფელი ასეთ შეგნებამდის მივა, ამის ნიშნები აქა-იქ ჩნდება. ტყუილათ კი არ ამბობს რიაბოვი, რომ «საჭიროა საქმისთვის კავშირი და ორგანიზაციაო». გაზ. «მატენში» მოთავსებული დეპეშა აღნიშნავდა იმ დიდ უკმაყოფილებას, რომელიც მოედო უკრაინას პურის კამპანიის დამზადებასთან დაკავშირებით, «საბჭოთა კავშირის ბევრ რაიონებში, განსაკუთრებით უკრაინაში გლეხები დიდ წინააღმდეგობას უწევენ მთავრობის ადგილობრივ წარმომადგენლებს. ს. ვოზნესოვკაში გაუკრავთ პროკლამაციები, რომელშიაც იქ დასახელებულ პირებს ურჩევენ ბინის დაცლას, რადგან—აფრთხილებენ პროკლამაციის ავტორები—განზრახულია მათი სახლების დაწვაო».

სოფელი ხედავს, რომ საბჭოთა მთავრობა მისი მთავრობა არაა, ის მისთვის უცხოა და მტრულად განწყობილი. და ეს მართალიც არის. მთელი საბჭოთა კავშირის სოფელი კრემლის დიქტატურის კოლონიაა. ალბათ მეჩვიდმეტე საუკუნეში, როცა კოლონია მისი ბატონის ნებაზე იყო მიგდებული და იქ დატრიალებული კვნესის სიმწარე არავის ყურადღებას არ იპყრობდა, მეტროპოლი განუკითხავათ სცარცვავდა კოლონიას, იტაცებდა, რაც სურდა და მის მკვიდრთა სიმდიდრეს ეპატრონებოდა. ასე ექცევა დღეს კრემლის ბატონები სოფელს და მის სიმდიდრეს. ამიტომაა, რომ სოფელი მას უყურებს. როგორც უცხოს, მომხდურს, დამრბეველს.

«დნის» კორესპოდენტი მეტად საყურადღებო ამბავს გადმოგვცემს: «...სადგურიდგან სამი ვერსტის დაშორებით გზა გაუვალი ხდება, ხიდები დანგრეულია. გავიფიქრეთ მოუვლელობის ბრალი თუ არის. მარა შემდეგ გლეხებმა აგვიხსნეს, რომ მათ განგებ დაანგრიეს ხიდეები, გზა გაუვალი გახდეს, რომ ამით გააძნელონ კავშირი სადგურთან და ქალაქთან. გზიდან მოშორობით ერთი მიმავალი გლეხი დავინახეთ გვინდოდა ის გაგვეჩერებია, მარა ჩვენ ნიშნებზე არ გვიპასუხა და სწრაფათ სოფლისაკენ გაქუსლა. შემდეგ სოფელში გვითხრეს, რომ ის სოფლის დარაჯი იყო, რომლის ვალდებულებაა სადარაჯოზე იდგეს და თუ ვინმეს მომავალს შემიშნავს სოფელი გააფრთხილოს... სოფელი ცივათ მოგვეგება, წაგვიყვანეს საბჭოში, როგორც ტუსაღები, დაგვკითხეს, პირადი დოკუმენტები მოგვთხოვეს და როცა დარწმუნდენ, რომ ხელისუფლებასთან ჩვენ კავშირი არა გვაქვს ბევრი რამ გვიამბეს. ჩვენ წინ იქ «გოსტორგის» რწმუნებული ყოფილა, მთელი სოფლის თივა აუწერია და მისი სადგურზე ჩაბარება დაუვალებია».

ასეთია სოფლის განწყობილება. ხელისუფლებას და გლეხობას შორის უნდობლობა დასადგურებულა, პირველის პოლიტიკა და მეორეს ინტერესი ერთი მეორეს არ ხვდება, პირიქით ერთი მეორეს უარყოფს და გლეხობაც იბრძვის, თავს იცავს. კომპარტია სოფლის ასეთ ურჩობას «კულაკის» გავლენას აწერს და მის გასატეხათ ხელისუფლებას ტერორის გაძლიერებას ავალებს.

საომარ კონფლიქტების მიზეზთა ძირშივე ამოგდებაზე.

მოთანხმება ინტერესთა ერის და კაცობრიობის, ნაციის და ინტერნაციონალის ძველი პრობლემაა. კოსმოპოლიტებმა ის ადვილათ გადასჭრეს ერის უარის ყოფით კაცობრიობის სასარგებლოთ; მეორე მხრით ნაციონალისტებმაც ასევე უბრალოთ მოიმოქმედეს, მხოლოდ პირუკულმა, კაცობრიობის უარისყოფით ერის სასარგებლოთ. პირველათ მარქსისტულ სოციალიზმმა აიღო სწორი ხაზი. როცა მან კაცობრიობა დაანაწილა ერებათ და მათგან შეკრა ერთი საერთაშორისო კავშირი ინტერნაციონალის სახელით. ეს იდეია ახლა სავსებით გამარჯვებულია, დიდმა ომმა ლახვარი ჩასცა ნაციონალისტურ განკერძოებას; ამ ჟამათ ბურჟუაზიის მუშაობაც კი ინტერნაციონალის ხაზზე წარმოებს; ჩვენ არ ვართ შორს იმ დროიდან, როცა მუშათა ინტერნაციონალს ბურჟუაზიის ინტერნაციონალი დაუპირდაპირდება ყველა სფეროში. მაშასადამე, ძველებური, ომის წინანდელი დაპირდაპირება ნაწილის და მთელის, ნაციის და ინტერნაციონალის თანდათან სუსტდება და მის ალაგს იჭერს სოციალური დაპირდაპირება საერთაშორისო მასშტაბით. ის ეკონომიური ინტერესები, რომლითაც დღეს სხვადასხვა ერის ბურჟუაზიას აერთებს და ერთ საღებ-მიცემო უღელში აბამს, იმდენათ ღრმა და ძირიანია, რომ ადვილათ ვერ გადაიქცევა ომის ავანტიურის მსხვერპლათ. ეს ეკონომიური სოლიდარობა შეადგენს ბაზას ბურჟუაზიის პაციფიზმისა.

აი ამ ახალ შექმნილ ეკონომიურ ურთიერთობაში, ბურჟუაზიული ინტერნაციონალის თანდათან გაშლაში ომის საფრთხე ღებულობს სრულიად ახალ სახეს და ძველებური ციმერვალდურ თუ ანტი-ციმერვალდური მეთოდით მისი გადაჭრა აღარ შეიძლება. ეს გზა ინტერნაციონალმა კიდევაც უარყო ბრიუსელის კონგრესზე, როცა მან განსაკუთრებითი რეზოლიუციით ინტერნაციონალის მთელი რისხვა მიმართა იმ მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც დავას არბიტრაჟით გადაწყვეტას უარყოფს. ე. ი. ომისადმი დამოკიდებულება არის არა პრინციპის, არა ერთხელ და სამუდამოთ გამომუშავებული ტაქტიკის, არამედ დრო და გარემოების, კონკრეტიული მდგომარეობის.

უეჭველია ამ მოსაზრებიდან გამოდის ფრ. ადლერი, როცა უშვებს შესაძლებლობას ომში მონაწილეობის მიღებისას თვით ინტერნაციონალის დადგენით. ეს შესაძლებლობა დასაშვებია იმდენათ, რამდენათ მშვიდობიანობის აშკარა დამრღვევი იქნება ანტიდემოკრატიული, დიქტატორული მთავრობა და მით ომს მიეცემა უმთავრესათ რეჟიმთან ბრძოლის ხასიათი. პირიქით როცა ომს ეკარგვის ასეთი ხასიათი და ის ხდება უმთავრესათ ხალხთა ბრძოლათ—ინტერნაციონალის მიერ მასში მონაწილეობის მიღება დაუშვებელია. აქ მისი ასპარეზი ერთათერთია: თუ მისი აფეთქება ვერ ჩაშალა, ყოველ შემთხვევაში შეეცადოს მისი საჩქარო დაბოლოვება დემოკრატიის და ნაციის სუვერენობის ნიადაგზე.

ადლერის მეორე დებულება ომის დროს ნეიტრალიტეტის დაცვა—უფრო მისაღებია, თუ კი რასაკვირველია ომი აშკარა იმპერიალისტურია და ინტერნაციონალმა მისი ჩაშლა ვერ შესძლო. მშვიდობიანობის ბურჯი დღეს დემოკრატიაა; ომი დემოკრატიულ ქვეყნებთა შორის ნახევარ საუკუნეში მაინც გამორიცხულია. ომის საფრთხე მოდის დიქტატორული ქვეყნებიდან; მაშასადამე ბრძოლა ამ რეჟიმთან და იქ დემოკრატიის დამკვიდრება საუკეთესო საშუალებაა ომის საფრთხესთან საბრძოლველათ. ე. ი. ომის და ზავის საკითხი სავსებით დღეს რეჟიმის საკითხია. ინტერნაციონალის ხაზი პაციფიზმის სფეროში ნათელია—ის იბრძვის ყოველგან დემოკრატიის გასაბატონებლათ, საერთაშორისო იურიდიული ნორმების ყველა ერისათვის სავალდებულოთ გადასაქცევათ; ის ებრძვის ამ მიმდინარეობის ყველა აშკარა თუ მალულ მტერთ—იმპერიალისტებს, ნაციონალისტებს, მილიტარისტებს, ფაშისტებს, ბოლშევიკებს—ყველა ანტიდემოკრატიულ ელემენტებს. და ეს არა ევროპის მასშტაბით, არა ევროპის ინტერესების გამოყოფით და მისთვის დანარჩენი კაცობრიობის დაქვემდებარებით, ეს იქნებოდა ნაციონალური ეგოიზმის გაბატონება ინტერნაციონალურზე, არამედ მსოფლიო მასშტაბით, ყველა ხალხთა, მიუხედავათ მისი გეოგრაფიული და რასიული თვისებებისა, თანასწორობის აღიარებით და ერთი მსოფლიო საერთაშორისო სოციალისტური პოლიტიკის წარმოებით.

ამნაირათ, ინტერნაციონალურია ეკონომიური ბაზა—კაპიტალიზმი და სოციალური ზედშენობა—პროლეტარიატის გამათავისუფლებელი მოძრაობა; ნაციონალურია ის კულტურული კალაპოტი, რომელშიაც ეს საერთაშორისო მოვლენა სახიერდება, ვითარდება და მოძრაობს. ერთია ფორმა, მეორე შინაარსი; ისინი განუყრელნია. ორივეს ერთნაირი საპატიო ადგილი უჭირავს საზოგადოებაში. ვინც ამას სცნობს—ის არის სოციალისტი, ის არის ინტერნაციონალისტი. მიმდინარე პოლიტიკა უნდა აიგოს ამ ორი მომენტის ერთმანეთზე გადაბმაზე, მათ განუყრელ ერთობაზე და არა მათ გათიშვაზე და ერთი მეორისადმი დაპირდაპირებაზე.

◆

,,ბრძოლის ხმა''-ს
გამოწერა შეიძლება შემდეგი მისამართით:
«L'ECHO DE LA LUTTE»
10. rue Jules-Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)

კომინტერნის წინააღმდეგ

კომუნისტურ პარტიათა რღვევა უცხოეთში სწრაფი ნაბიჯით მიმდინარეობს. სტალინის დიქტატურას კომინტერნში თვით კომუნისტების საგრძნობი ნაწილიც ვერ ურიგდება და პარტიიდან გარბიან ანდა მათ ძალით ერეკებიან.

გარიცხულები გერმანიაში კარგი ხანია შეკავშირებული არიან. 19-20 ოქტომბერს ქ. ვენაში გაიხსნა კომუნისტ-ოპოზიციონერთა კონფერენცია გერმანიის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარის ბრანდლერის მეთაურობით. კონფერენციაში გამოცხადდენ ჩეხოსლოვაკიის, ავსტრიის, ამერიკის და ნორვეგიის კომუნისტ-ოპოზიციონერთა წარმომადგენლნი. კონფერენციას მიესალმა ბრანდლერი, რომელმაც გამოთქვა თავისი აღშფოთება პროფინტერნის მეოთხე კონგრესის მიერ აღებულ ხაზის გამო. ბრანდლერი ფიქრობს, რომ «გერმანიის კომპარტიის გავლენა პროფესიონალურ კავშირებში საბოლოოთ დაეცა. პარტიულ დისციპლინის მაგიერ გამეფებულია მკვდართა დისციპლინა... აუცილებელია კომპარტიის გაწმენდა მოყიდულ პირთაგან». აქ სახეში აქვთ სტალინის მიერ უცხოეთის ყველა კომპარტიების სათავეში მოყიდულ აგენტების დანიშვნა.

უცხოეთის წარმომადგენელთა განცხადებიდან მეტათ საყურადღებოა ჩეხოსლოვაკელ კომუნისტის სიტყვა, რომელიც დარწმუნებულია, რომ სოციალდემოკრატია არჩევნებში დიდ გამარჯვებას მოიპოვებს, ვინაიდან ოფიციალურ კომპარტიის გავლენა მუშებზე მეტათ დაეცაო. ელზასის კომუნისტ-ოპოზიციონერის სიტყვით საფრანგეთის კომპარტია უმნიშვნელო სექტათ გადაიქცა. 27 ათასი წევრის მაგიერ, რომელსაც საფრანგეთის კომპარტია წინეთ ითვლიდა, ახლა სულ წევრთა რიცხვი 9,000-დე დაეცა. აგრეთვე საფრანგეთის წითელ სინდიკატებმა (კომუნისტების მომხრენი) ასი ათასი წევრი დაკარგეს.

გერმანიის წარმომადგენელთა მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ამჟამათ ბრანდლერის მხარეზე გერმანიაში 5.000 კომუნისტია, რომელნიც ოფიციალურ კომპარტიიდან სხვადასხვა დროს გაურიცხავთ.

თვით ბრანდლერის აზრით, ყოვლათ შეუძლებელია კომუნიზმის ევროპაში გამოცოცხლება, თუ არ მოისპო რუს კომუნისტთა ბატონობა კომინტერნში.

კონფერენციაზე საკმაოთ ნათელი შეიქნა ოპოზიციონერთა ნაწილის მიდრეკილება სოციალდემოკრატიულ პარტიასთან შეთანხმების მისაღწევათ.

◆

მუშათა მოძრაობა და პოლიტიკა უცხოეთში

სოციალისტურ პარტიების გავლენა ევროპაში სწრაფათ იზრდება.

თუ ამ ათიოდე წლის წინათ სოციალისტური მთავრობა მხოლოდ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ედგა სათავეში, დღეს სოციალისტურ მთავრობათა არსებობა-მოღვწეობა ხშირი მოვლენა შეიქნა. აქ საკმარისია დავასახელოთ თუნდაც ზოგიერთი ქვეყნები, სადაც სოციალისტები სახელმწიფო ძალაფლების მატარებელნი იყვნენ სავსებით ან სადაც მათი მონაწილეობით მემარცხნე კოალიციურ მთავრობას ადგენენ. ასეთებია შვეცია, დანია, ბელგია, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, ფინლიანდია, ესტონეთი და ლიტვა. ზოგიერთ სახელმწიფოში მთავრობის ნორმალურ პირობებში შედგენა შეუძლებელი ხთება თუ არ სოციალისტურ პარტიის მონაწილეობით.

ამ ბოლო დროს მოხდა მეტად საყურადღებო ამბავი. ჯერ იყო და გასულ წელს გერმანიაში შედგა მემარცხნე კოალიციური მთავრობა სოციალდემოკრატიის მეთაურის ჰერმან მიულერის თავმჯდომარეობით. ამას მოჰყვა ივნისში მაკდონალდის მთავრობის შედგენა ინგლისში.

ომის შედეგების მოსპობა, ხალხთა შორის ნდობის და თანამშრომლობის დამკვიდრება, და ამ გზით მწვავე სოციალ-ეკონომიურ პრობლემების გადასაჭრელათ ნიადაგის მომზადება—ასეთია მომენტის მოთხოვნილება.

ამ საქმეს წელზე მეტია ჰერმან მიულერის მთავრობა ემსახურება. შტრეზემანის მოღვაწეობა-ეს ხომ არსებითად ს.-დემ. პარტიის მიერ გამომუშავებულ საგარეო პოლიტიკის განხორციელება იყო. ეს ხაზი იუნგის გეგმის მიღებით დამთავრდა. ეს იყო რეპარაციის საკითხის საბოლოვო გადაჭრა, რეინის პროვინციებში მოკავშირეთა ჯარების ოკუპაციის მოხსნა და ამ გზით საფრანგეთ-გერმანიის დაახლოვების წინასწარ პირობათა შექმნა.

იუნგის გეგმის წინააღმდეგ გერმანიაში მთელი მემარჯვნე ბანაკი დაირაზმა, მაგრამ ყველაფერი გვიჩვენებს, რომ მათი კამპანია დამარცხებით გათავდება.

⁂

მაკდონალდის მთავრობას ინგლისში მრავალი თავსამტვრევი საკითხი აქვს გადასაჭრელი. ასეთია უმუშევრობასთან ბრძოლა, მრეწველთა და მუშათა ურთიერთობის ახალ ნიადაგზე აგება და საერთო ძალღონით შრომის ნაყოფიერების ზრდის ხელის შეწყობა, სოციალურ დაზღვევის გაფართოვება და ბევრი სხვა. ახალი მთავრობა მთელი თავისი ენერგიით შეუდგა ამ საქმეების მოგვარებას, რაიცა რასაკვირველია დიდ დროს მოითხოვს.

საგარეო პოლიტიკაში მაკდონალდმა მცირე ხანშიაც მეტად თვალსაჩინო შედეგებს მიაღწია. ამ უკანასკნელ წლებში საკმაოთ გამწვავდა ინგლის-ამერიკის ურთიერთობა. ჩრდილოეთ-ამერიკის დიდი რესპუბლიკა ომის შემდეგ ეკონომიურ-ფინანსიურათ მსოფლიოს მეთაური შეიქნა. ამის და მიხედვით მისი საგარეო პოლიტიკაც, განსაკუთრებით საზღვაო შეიარაღების საქმეში საკმაოთ შეიცვალა. ამერიკა ორ პრინციპს აყენებს: სრული თანასწორობა ინგლისთან საზღვაო შეიარაღების საქმეში და ზღვაზე მიმოსვლის სრული თავისუფლება. კონსერვატიულმა მთავრობამ ვერ გამონახა ამერიკასთან საერთო ენა და ამიტომაც იყო სამთა საზღვაო კონფერენცია ჟენევაში 27 წელს უშედეგოთ დამთავრდა. მას შემდეგ ინგლის-ამერიკის ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდა. ზოგ პოლიტიკურ მოღვაწეს ომის საფრთხეც ელანდებოდა.

ასეთი იყო მდგომარეობა, როცა მაკდონალდმა ძალაუფლება ხელში აიღო. მან გადაწყვიტა ამერიკის პრეზიდენტის პირადი ნახვა და ამ მიზნით ამერიკაშიც გაემგზავრა, მას შემდეგ, რაც ამერიკის ელჩ დაუსთან პირადი მოლაპარაკებით მრავალი სადაო საკითხები ამოსწურა და შეთანხმების ნიადაგი საკმოთ მოაზადა.

ჯერ საბოლოოთ გამორკვეული არ არის მაკდონალდის მგზავრობის შედეგი ამერიკაში. ერთი რამ კი სავსებით ცხადია: მაკდონალდ-ჰუვერის პირველი პირადი მოლაპარაკებით ინგლის-ამერიკას შორის არსებული მრავალი გაუგებრობა გაფანტულ იქნა, უნდობლობა მოისპო და ორივე მხარეს-ინგლისსა და ამერიკას საშვალება მიეცა კელოგ-ბრიანის პაკტის პრაქტიკულ განხორციელებაზე იზრუნოს, ე. ი. საქმითაც ომის შესაძლებლობა საერთაშორისო ურთიერთობიდან განდევნოს.

ამერიკაში მაკდონალდის მოგზაურობამ აშკარათ წამოაყენა საკითხი ზღვათა თავისუფლების აღიარებისა. ცნობილია, რომ ამერიკა დიდი ხანია იბრძვის ამ საკითხის მოსაგვარებლად. ეს იყო ერთი მუხლთაგანი პრეზიდენტ ვილსონის საზავო დეკლარაციის, რომელიც ცნობილ 14 მუხლს შეიცავდა. როგორც ხედავთ აქ ახალი არაფერია, ეს მოთხოვნილება ძველია. ახალია ის, რომ ინგლისის პოლიტიკის ხელმძღვანელმა მაკდონალდმა გაბედა და თანხმობა გამოაცხადა ეს საკითხი განიხილოს და მით ინგლისის მიერ დღემდის ნაწარმოებ პოლიტიკის ხაზის შეცვლაზე ლაპარაკი დროულათ მიიჩნიოს. ეს მართლაც საერთაშორისო ურთიერთობის ძირითადი გადატეხა, დღემდის გაკვალულ გზების უარყოფაა, ერთი სახელმწიფოს დომინაციის პრინციპის უკუგდებაა.

ეჭვს გარეშეა, თუ ამ საკითხში კომპრომისი გამოინახა—და სწორეთ ამას გვპირდება მაკდონალდი—ეს იქნებოდა ორ უდიდეს სახელმწიფოთა ქიშპობის ნაცვლათ შეთანხმების და მორიგების პრინციპის საერთაშორისო პოლიტიკის საფუძვლათ გამოცხადება.

სწორეთ ასეთია სოციალისტურ პარტიების მოთხოვნილება. სწორეთ ეს გარემოება გვაძლევს იმედს ვიფიქროთ, რომ კომპრომისი გამოინახება და ეს მთავარი საკითხი, რომელიც საყოველთაო განიარაღების საქმეს აფერხებდა, საერთაშორისო პოლიტიკის დღიურ საკითხიდან ახლო მომავალში ამოიშლება.

⁂

შვეიცარიის სოციალისტურ პარტიის კონგრესმა ხმის დიდი უმრავლესობით გადაწყვიტა მონაწილეობა მიიღოს ფედერალურ მთავრობაში ბურჟუაზიულ პარტიების გვერდით.

ამიერიდან დასავლეთ ევროპაში რჩება ერთადერთი საფრანგეთის სოციალისტური პარტია, რომელიც განაგრძობს ძველ ტაქტიკას და დაჟინებით უარყოფს კოალიციონურ მთავრობაში მონაწილეობას. ეს საკითხი უკანასკნელათ გაარჩია პარტიის ეროვნულმა საბჭომ 29 ოქტ., რომელმაც 1,590 ხმით 1,451 ხმის წინააღმდეგ უარყო ამხ. რენოდელის წინადადება კოალიციონურ მთავრობაში მონაწილეობის შესახებ და მიიღო პოლ ფორის რეზოლიუცია, უკანასკნელი უარს აცხადებს ისეთ კაბინეტში შესვლაზე, რომელსაც მეთაურობს სხვა პარტიის წარმომადგენელი, მაგრამ თანახმაა თვით შეადგინოს მთავრობა, რომელსაც მხარს დაუჭერენ სხვა მემარცხენე ჯგუფები ან და უკანასკნელნი შევლენ ისეთ მთავრობაში, რომელშიც სოციალისტებს ეყოლებათ უმრავლესობა.

ეს საკითხი ხელახლა დაისმება პარტიის ყრილობის განსახილველათ, რომელიც მომავალ წლის 25 იანვარს შეიკრიბება.

Rédaction et Administration :
M-r. D. Charachidsé.
26, rue des Bernardies. Paris 5e.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*.
Le Gérant : René Toussaint.